საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო
უნივერსიტეტი

თამარ დუდაური

პროგნოზირება და დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში

სახელმძღვანელო

ნაწილი პირველი

თბილისი 2005

უაკ(UDC) 338.24
დ88

წიგნი განხილული და მოწონებულია გამოსაცემად საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის საკონსულტაციო საბჭოს მიერ (სხდომის ოქმი №1. 18. 10. 2005).

რედაქტორი: ანდრო კიკნაველიძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეცეზენტები: ზურაბ ელიზბარაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ბურამ ძაბნიძე – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი.

წიგნის პირველ ნაწილში გადმოცემულია პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლები, მისი არსი, საგანი, მიზანი, ამოცანები და როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში. გაშუქებულია მოწინავე ქვეყნების გამოცდილება. ფართოდ არის განხილული პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, მათი პრინციპები და მეთოდები.

სახელმძღვანელო გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური სპეციალობების სტუდენტებისათვის. იგი ასევე შესაძლებელია გამოყენებული იქნეს არაეკონომიკური სპეციალობის სტუდენტების მოსამზადებლადაც.

In the textbook scientific and theoretical bases, the purposes and problems of forecasting and planning in conditions of the market are considered. It is covered the countries. Methods of forecasting and planning of base conditions of development of economy are described.

© თამარ დუდაური, 2005

ISBN 99940-0-764-5 (ორივე ნაწილის)
ISBN 99940-0-765-3 (პირველი ნაწილის)

წინასიტყვაობა

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო სტრუქტურები, კორპორაციები და კომპანიები უკვე მრავალი წელია იყენებენ პროგნოზირებასა და დაგეგმვას, რაც წარმოადგენს ეფექტური და სტაბილური ბიზნესის წინაპირობას. ამიტომაც, პრაქტიკულად ყველა ქვეყნის უმაღლესი ეკონომიკური განათლების სისტემაში მეცნიერებას პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესახებ წამყვანი ადგილი უკავია. სწორედ პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესწავლის პროცესში ხდება სტუდენტ-ეკონომისტის ფორმირება, როგორც მომავალი სპეციალისტისა, რომელსაც ექნება უნარი და ცოდნა მიიღოს მონაწილეობა საწარმოს ჩამოყალიბებასა და მართვაში. ამ ცოდნის მიღებაში სტუდენტს დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი სახელმძღვანელო. აღნიშნული კურსი უნდა ისწავლებოდეს მჭიდრო კავშირში ჰუმანიტარულ, სოციალურ-ეკონომიკურ, საერთო პროფესიონალურ და სპეციალურ დისციპლინებთან.

მრავალი ქვეყნის ფირმებისა და საწარმოების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის უგულვებელყოფამ ან არაკომპეტენტურმა განხორციელებამ შესაძლოა მიგვიყვანოს გაუმართლებელ ეკონომიკურ დანაკარგებთან და საბოლოო ანგარიშით წარმოების გაკოტრებასთან. გამოცდილმა ხელმძღვანელებმა კარგად იციან, რომ ყოველი დიდი ბრძოლა მოგებული იქნა ჯერ ქაღალდზე-გეგმაზე, და მხოლოდ შემდეგ რეალურ სინამდვილეში. ამიტომაც არის, რომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია სჭირდებათ არა მხოლოდ მეცნიერებს, არამედ მეწარმეებსაც და მუშაკებს მართვის ყველა დონეზე. ე.ი. ყოველი ადამიანი

ცდილობს განჭვრიტოს და დაგეგმოს თავისი მოქმედებები და მათგან მიღებული შედეგები. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანის ცხოვრება და საქმიანობა ყოველთვის დაკავშირებულია არჩევანის გაკეთებაზე, რომელიც მრავალი უცნობისაგან შედგება, ხოლო სწორი არჩევანის გაკეთება შეუძლებელია, თუ არ იქნება გათვალისწინებული მისი ყველა სასურველი და არა სასურველი შედეგი.

სწორი-რიალური პერსპექტივის დამუშავება და გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს თავისდროულად აღმოვაჩინოთ მოსალოდნელი რისკი და მივიღოთ ღონისძიებები რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი შედეგები. დეცენტრალიზებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში ყოველთვის ახორციელებენ მომავლის სწორად განჭვრეტასა და დაგეგმვას.

საზოგადოდ, სახელმწიფო უნდა ახდენდეს თავის ეკონომიკური განვითარების პროგნოზირებას და ამის საფუძველზე გეგმავდეს ეკონომიკური აღმავლობის სტრატეგიას, გლობალური ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, მსხვილი სოციალური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების განხორციელებას, ქვეყნის ბიუჯეტის განაწილებასა და სხვა. სოციალურ—ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვან ბერკეტს. წარმატებულად მოღვაწე საწარმო ახორციელებს არა მხოლოდ საპროგნოზო მაჩვენებლების შემუშავებასა და მათ საფუძველზე სტრატეგიული გეგმების შედგენას, არამედ ოპერატიული (მიმდინარე) გეგმების დეტალურ შემუშავებას ყოველი ქვეგანყოფილებისა და სამუშაო ადგილებისათვის, ასევე ადგენენ კალენდარულ გეგმებს. იგი აკონკრეტებს საწარმოს მიზნებსა და ამოცანებს,

შეიცავს მონაცემებს, მათი მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის, საწარმოს სიმძლავრეების დატვირთვის ხარისხისა და გამოყენების შესახებ ყოველი შეკვეთის შესრულების ვადის გათვალისწინებით. მათში ითვალისწინებენ დანახარჯებს საწარმოო სიმძლავრეების გაფართოებასა და რეკონსტრუქციაზე, მოწყობილობების შეცვლაზე, საწარმოს გადაიარაღებაზე მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და სხვა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საწარმოები ფართოდ იყენებენ პროგნოზირებისა და დაგეგმვის უპირატესობებს კონკურენციულ ბრძოლაში.

შემთხვევითი არ იყო, რომ იაპონური ეკონომიკის სასწაულების ავტორი ს. ოკიოტო დაჟინებით მიუთითებდა საბაზრო მექანიზმების და სახელმწიფო დაგეგმვისა და რეგულირების კომბინირების აუცილებლობაზე.

დაგეგმვა საზოგადოდ, როგორც ადამიანის გონების უდიდესი მიღწევა წარმოადგენს პრაქტიკულად ადამიანის ქმედების ბუნებრივ და აუცილებელ ელემენტს, როგორც ცხოვრებაში ისე წარმოებაში.

საკომპენსაციო საგეგმო რეგულირება ადამიანებისათვის ცნობილია შორეული წარსულიდან. ადამიანთა საზოგადოების ადრეულ სტადიაზე იგი გამოიყენებოდა, მოსახლეობის საკვები პროდუქტით უზრუნველსაყოფად, ბუნებრივი მოვლენების უარყოფითი გავლენის კომპენსაციისათვის. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ბიბლიაში იოსებმა ურჩია ეგვიპტის ფარაონს, რომ მოსავლიან წელიწადში მას შეესყიდა ხორბალი დიდი რაოდენობით, ხოლო გვალვიან პერიოდში, როცა წარმოიშვებოდა დეფიციტი პურზე, მიემართა ეს მარაგები ბაზარზე. როგორც ჩანს ჩვენს ერამდე ორი ათასი წლით ადრე იყენებდნენ საგეგმო ოპერაციებს, რომელიც ახლა ფარ-

თოდ არის გავრცელებული მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში და ეწოდება სასურსათო ინტერვენცია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გამოიწვია საქართველოში ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისი. ქვეყანაში ბიზნეს გარემო არასაკმარისი იყო იმისათვის, რომ სტიმულირება მისცემოდა ბიზნესის განვითარებას. მსხვილი და საშუალო, ასევე წვრილი საწარმოების განვითარება შეფერხებული იყო მრავალი ბარიერით, მათ შორის პრობლემებით საგადასახადო, საბაჟო, სერტიფიცირების, სტანდარტიზაციის და შემოწმების სფეროებში. მაგალითად, მსხვილი და საშუალო საწარმოების რაოდენობის ზრდა ორწლიანი პერიოდის განმავლობაში 2002-დან 2004 წლამდე თითქმის შეჩერდა და შეადგინა მხოლოდ 6%-ი, ხოლო მათი წილი მთლიან შიდა პროდუქტში კი კელავ დაბალი დარჩა და შეადგინა 10%-ი, იგი ძალიან დაბალია დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით, სადაც ანალოგიური მაჩვენებელი 40%-ის, ხოლო ევროგაერთიანების ქვეყნებში კი დაახლოებით 60%-ის ტოლია. კარდინალურად შეიცვალა მდგომარეობა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. კერძოდ, შემუშავებული იქნა და ძალაში შევიდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელმაც საკმაოდ გაამარტივა გადასახადების სისტემა. მიმდინარეობს მუშაობა ინვესტიციების მოძიებისა და მოზიდვისათვის, ხორციელდება ღონისძიებები მსოფლიო პრაქტიკაში ბევრჯერ აპრობირებული ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდების დანერგვისათვის, რომელთა შორის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება დასაბუთებულ პროგნოზირებასა და საერთოდ ნაციონალურ დაგეგმვას.

მსოფლიოს ბევრი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკურ ფაკულტეტებზე ეს მეცნიერება შეტანილია

საზოგადომეცნიერულ და მაპროფილებელ სასწავლო დისციპლინად, რომელიც სხვა ეკონომიკურ დისციპლინებთან ერთად აღრმავებს მომავალი ეკონომისტის პროფესიულ კვალიფიკაციას, მხოლოდ ამ დისციპლინაში მეცნიერული ჰიპოთეზების, პროგნოზების, კონცეფციების, პროგრამებისა და გეგმების შემუშავების მეთოდების შესწავლისას, სტუდენტების მიერ მიღებული მთელი ცოდნის ერთობლიობა იძენს მთლიან და სისტემატიზირებულ ხასიათს. რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს მათ მოსამზადებლად პროფესიონალური საქმიანობისათვის. მართვის ნებისმიერი რგოლის ყოველი სპეციალისტი, მენეჯერი უნდა ფლობდეს პროგნოზირებისა და დაგეგმვის ხერხებს. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის არის მოწოდებული ჩვენი სახელმძღვანელო.

ავტორს მიაჩნია, რომ წიგნი დაზღვეული არ იქნება ნაკლოვანებებისაგან, ამიტომ გულისმიერი მკითხველის ყველა საქმიანი შენიშვნა სიამოვნებით იქნება მიღებული, რომელსაც გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

თავი I. პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლები

1.1 პროგნოზირებისა და დაგეგმვის არსი, საბანი, მიზანი და ამოცანები

მსოფლიოში ცნობილია ეკონომიკური სისტემების სხვადასხვა ტიპები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წარმოების მეთოდებითა და საქმიანობის შედეგებით. ყველაზე მეტი განვითარება ჰპოვა საბაზრო ეკონომიკურმა სისტემამ, რომელიც დღემდე ცნობილ ეკონომიკურ სისტემათა შორის ყველაზე ეფექტიანია. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის, იაპონიის, დასავლეთ ევროპის ქვეყნების მეურნეობის შთამბეჭდავი მიღწევები. მისი ეფექტურობა ვლინდება ისეთი ამოცანების გადაწყვეტაში, როგორიცაა: წარმოებასა და მოხმარებას შორის ოპტიმალური კავშირის უზრუნველყოფა; დამოუკიდებელი მწარმოებლების სამეურნეო საქმიანობის შედეგების საზოგადოებრივი შეფასება; ფასების თავისუფალი ფუნქციონირება; ეკონომიკის სანაცია; კონკურენციის საყოველთაობა. ამის საფუძველზე საბაზრო ეკონომიკა წარმატებით წყვეტს სრული დასაქმების, ეკონომიკური ზრდის, ფასების სტაბილურობის, ეკონომიკური თავისუფლების, ეკონომიკური უსაფრთხოების, თანასწორობისა და ეფექტიანობის პრობლემებს.

სხვადასხვა ქვეყანაში ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომკის ტიპები პრინციპიალურად განსხვავებულია, არაერთგვაროვანია. კერძოდ, ბაზრის ფუნქციონირების ხასიათი, მოტივაციათა სისტემა, ეფექტიანობის კრიტერიუმები, საწარმოო და ორგანიზაციულ- მმართველობითი

სტრუქტურები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, სოციალური სისტემა, კონკურენციულ ურთიერთობათა და სახელმწიფო რეგულირების შეთანაწყობის კონკრეტული ფორმები და მექანიზმები და ა.შ. მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისამდე საბაზრო სისტემა ფუნქციონირებდა ძირითადად ინდივიდუალური, კერძო საკუთრების ბაზაზე, თავისუფალი კონკურენციის, ადამიანთა სოციალური დაუცველობის პირობებში.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად საწარმოო ძალებმა განიცადეს ძალიან სწრაფი განვითარება, განსაკუთრერბით სწრაფად იწყო განვითარება საწარმოო და სოციალურმა ინფრასტრუქტურამ. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკურ სისტემაში მნიშვლენლოვნად შეიცვალა მისი ისეთი ელემენტები, როგორებიცაა სამეურნეო მექანიზმი და საწარმოო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმები. სახელმწიფომ დაიწყო აქტიური ზემოქმედება ნაციონალური ეკონომიკის განვითარებაზე. დამყარდა ეკონომიკური სისტემა, რომლის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენს:

- წარმოება კერძო (კოლექტიური და ინდივიდუალური) და სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე;
- მეურნეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განსაზოგადოება ნაციონალურ და საერთაშორისო მაშტაბებში;
- ეკონომიკის საბაზრო რეგულირება სახელმწიფოს აქტიური ჩარევის პირობებში;
- სოციალური დაზღვევისა და უზრუნველყოფისათვის კერძო და სახელმწიფო ფონდების არსებობა.

თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ძირითად განმასხვავებელ თვისებად იქცა სახელმწიფოს აქტიური ზემოქმედება ნაციონალური ეკონომიკის განვითარებაზე.

დღესდღეობით ისეთი ნაციონალური ბაზარი, რომლის რეგულირება არ ხდება სახელმწიფოს მიერ მსოფლიოში არ არსებობს.

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის პროგნოზირება და დაგეგმვა წარმოადგენს მსოფლიო მეცნიერებისა და პრაქტიკის მნიშვნელოვან მიღწევას. ეს მეცნიერება შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც სახალხო მეურნეობის ეკონომიკის შესახებ სხვადასხვა კანონის სინთეზი.

პროგნოზი, როგორც მეცნიერები ასკვნიან, არის მოსაზრებების არგუმენტირებული კომპლექსი (რომელიც გამოხატულია ხარისხობრივ და რიცხობრივ ფორმაში) ეკონომიკური სისტემის მომავალი პარამეტრების მიმართ. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საზოგადოების არსებობის, მისი შემდგომი განვითარებისა და ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის აუცილებელია წარმოების ყოველმხრივი, თანმიმდევრულად დაჩქარებული და მიზანმიმართული გადიდება, წინსვლა და აღმავლობა. ეს კი შეუძლებელია საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე მრავალმხრივი პროცესების წინასწარი მეცნიერული განჭვრეტის, აღქმისა და განხორციელების ე.ი. მეცნიერული პროგნოზირების გარეშე.

პროფესორ ა.კიკნაველიძისა და დოცენტ თ.დუდაურის სალექციო კურსში ვკითხულობთ, რომ მეცნიერული პროგნოზირება არის ქვეყნის, მხარის, ოლქის, ქალაქის, რაიონის, დარგის, კომპლექსის, ქარხნის, ფაბრიკის, აგროფირმის, გლეხური (ფერმერული) მეურნეობის მეცნიერული მართვის, გაძღოლის ისეთი ინსტრუმენტი, პროგრამა, რომელშიც ასახული უნდა იყოს თითოეული მათგანის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებები, მაჩვენებლები და ამოცანები, მათ მისაღწევად საჭირო რესურსები და საშუალებები,

შემსრულებლები, შესრულების ვადები, წესები და პირობები. ე.ი. მეცნიერული პროგნოზირების არსი მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებების, მაჩვენებლების, ამოცანების სწორად განსაზღვრასა და მათ მისაღწევად საჭირო რესურსების და საშუალებების გამოვლენაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია:

- წარმოების საზოგადოებრივი ხასიათით;
- რეგიონალური და დარგთაშორისი კავშირების გართულებით;
- სახალხო მეურნეობის რაციონალური პროპორციების დაცვის აუცილებლობით;
- საბაზრო ეკონომიკის თვითრეგულირების შეუძლებლობით, განსაკუთრებით აღწარმოების ციკლების კრიზისულ სტადიაზე;
- სახელმწიფოს, როგორც საბაზრო ეკონომიკის სუბიექტის საქმიანობით.

სოციალურ-ეკონომიკური განეითარების პროგნოზები გამოხატავენ დემოგრაფიულ, სამეცნიერო-ტექნიკურ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ასევე დარგობრივ, ტერიტორიალურ და სხვა საზოგადოებრივად მნიშვნელოვან, საქმიანობის სფეროებს.

სოციალურ-ეკონომილურ პროგნოზებს აქვთ მაკროეკონომიკური, დარგობრივი, საუწყებო, ტერიტორიალური განყოფილებები და მისი შემუშავება ხდება მთლიანად ქვეყნის მაშტაბით, ეკონომიკის დარგებისა და სახალხოსამეურნეო კომპლექსების, ცალკეული რეგიონების მიხედვით.

როდესაც ისმება საკითხი პროგნოზირების კურსის საგნის შესახებ, ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს

მიღებული მისი ორი თვისება: სუბიექტური და ობიექ-ტური თვისებები. სუბიექტური თვისება მდგომარეობს იმაში, რომ პროგნოზირება უნდა განახორციელოს სუბიექტმა, ადამიანმა, ხალხმა, რომლებიც მოწოდებულნი არიან პროგნოზირებაში ჩართონ ყველა საღად მოაზ-როვნე კომპეტენტური პირი და მოაქციონ სამეურნეო ხასიათის ყველა მოვლენა, პროცესი და ყველა დასაპრო-გრამებელი ობიექტი. ობიექტური თვისება კი გულისხ-მობს პროგნოზირების განპირობებულობას ობიექტური ფაქტორებით, ანუ ობიექტურად აუცილებელი ბუნებრივი და ეკონომიკური კანონების მოქმედებით. ე.ი. პროგ-ნოზირება კი არ წარმოშობილა ადამიანის ნებასურ-ვილით და ხორციელდება მხოლოდ მისი კარნახით, არა-მედ იგი არის შეცნობილი ობიექტური აუცილებლობა, რომელიც ემყარება საზოგადოების განვითარების ობიექტურად აუცილებელი ბუნებრივი და ეკონომიკური კანონების მოქმედებას, მათ არსსა და მოთხოვნებს.

ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვი-თარების პროგნოზირების კურსის საგანს შეადგენს სა-ზოგადოების განვითარებაზე მოქმედი ობიექტურად აუცი-ლებელი ბუნებრივი და ეკონომიკური კანონებისა და კა-ნონზომიერებების შეცნობა, შესწავლა და გამოყენება ეროვნული მეურნეობის მთელი სისტემის მეცნიერულ გაძღოლასა და მართვაში.

ბუნებრივი კანონი არის ბუნებრივი მოვლენების, ბუნე-ბრივი პროცესების, ობიექტურად აუცილებელი მუდმივად განმეორებადი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს მცენარეული საფარისა და ცხოველური სამყაროს მრავალფეროვნებას და ძირითა-დად მართავს ფლორისა და ფაუნის შემდგომ განვითარე-ბას. ბუნებრივი კანონებია: სიცოცხლის კანონი,

დაბრუნების კანონი, ოთხი ცოცხალი ორგანიზმისა (ნიადაგი, მცენარე, პირუტყვი და ადამიანი) და ხუთი სასიცოცხლო ფაქტორების (სინათლე, სითბო, წყალი, ჰაერი და საკვები ნივთიერებები) შეუცვლელობის კანონი, ამ სასიცოცხლო ფაქტორების ერთობლივი და ერთდროული მოქმედების კანონი და სხვა.

ეკონომიკური კანონი არის ეკონომიკური მოვლენების, ეკონომიკური პროცესების ობიექტურად აუცილებელი და მუდმივად განმეორებადი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრავს მატერიალური დოვლათის წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე, ყველა სტადიაში და ფორმაციაში. ეკონომიკური კანონებია: საზოგადოების განვითარების ძირითადი ეკონომიკური კანონი, საწარმოო ძალების განვითარების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის საეალდებულო შესაბამისობის კანონი, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ეკონომიკური კანონი, შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის ეკონომიკური კანონი, ღირებულების კანონი და მთელი რიგი სხვა კანონები. თითოეულ ამ კანონს აქვს თავისი განსაკუთრებული არსი და მოთხოვნა, რაც კარგად უნდა იყოს შეცნობილი, შესწავლილი და გამოყენებული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერულ პროგნოზირებაში.

პროგნოზირების არსიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე ყალიბდება კურსის მიზანი და ამოცანა საზოგადოების ისტორიული განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

პროგნოზირების კურსის მიზანია შეაიარაღოს მისი შემსწავლელი პიროვნება იმ თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მინიმუმით, რომლითაც ის შესძლებს შეუცდომ-

ლად და ამომწურავად განსაზღვროს წარმოების განვითარების დამახასიათებელი მაჩვენებლები უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასებთან ერთად ამ მაჩვენებლების მიღწევაში, განხორციელებაში.

ბაზრის პირობებში ხდება მიზნობრივი პროგნოზების შემუშავება. ისინი განსაზღვრავენ მიზნებს, რომელსაც უყენებს სახელმწიფო ეკონომიკას და მათი მიღწევის შესაძლო გზებს. ამასთან თანაბრად საშიშია, როგორც მიზნების ძალიან შემცირება იმ მიზეზით, რომ რესურსების დეფიციტია, მაგრამ ასევე საშიშია არა რეალური მიზნების დასახვა, როგორი მიმზიდველიც არ უნდა იყოს ისინი. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს მოსალოდნელი წინააღმდეგობანი გრძელ და მოკლევადიან მიზნებს შორის. კერძოდ, მოკლევადიანი მოგებების გამოდევნება, როგორც წესი სახელმწიფოს ხელს უშლის სტრატეგიული მიმართულების განხორციელებაში. ამიტომ აუცილებელია მათ შორის განსაზღვრული ბალანსის არსებობა.

პროგნოზირების კურსის ამოცანა კი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებულია მოცემული ეტაპის მნიშვლენობიდან გამომდინარე. პროგნოზირების ამოცანაა მოგვცეს ობიექტური წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მოხდეს ამა თუ იმ გარემო პირობებში. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ხდება საძიებო პროგნოზის შემუშავება, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორი შეიძლება იყოს ეკონომიკის განვითარების (ან მისი რომელიმე სფეროსი) პირობები, თუ სახელმწიფო ზემოქმედების ხასიათი დარჩება იგივე და არ გაატარებს არავითარ ღონისძიებებს ეკონომიკის რეგულირებისათვის. საძიებო პროგნოზი ასევე გვიჩვენებს

ეკონომიკის იმ სფეროებს, რომლებიც მოითხოვენ სახელმწიფოს ჩარევას, რომლითაც გადალახული იქნება ამ სფეროებში შესაძლო ნეგატიური პროცესები.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირების ძირითადი ამოცანებია: საწარმოო ძალთა სწორი, რაციონალური განლაგება და განვითარება ქვეყნის ტერიტორიის მიხედვით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ყოველმხრივი დაჩქარება, მთელი წარმოების დინამიკური და პროპორციული განვითარება და ამ წარმოების ყველა რგოლის ეფექტიანი თანამოქმედება, შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, მართვის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება, საგარეო ეკონომიკური კავშირების შემდგომი გაფართოება და ა.შ.

აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პროგნოზებისა და პროგრამების ეკონომიკურად დასაბუთებული მეთოდების გამომუღავნება; ასკ-ის პროდუქციაზე საწარმოების, რეგიონებისა და მთელი საზოგადოების მოთხოვნილების გამოვლენა, რესურსების განსაზღვრა და მათი რეგიონებისა და დარგების მიხედვით ეფექტურად განაწილება; ასკ-ის მდგრადი განვითარების გზების მოძებნა; ასკ-ის ძირითადი სფეროების განვითარების ბალანსირების საფუძველზე წარმოების შეთანხმებულობის, რიტმულობისა და უწყვეტობის მიღწევა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი პროგნოზის შემუშავებისას მხედველობაში მიიღება:

1. მატერიალური ნაკადების ორგანიზაციის ფორმა. ყველა სახის პროდუქციის უდიდესი ნაწილის რეალიზაცია

ხდება თავისუფლად. ამასთან იმისათვის, რომ ამა თუ იმ საწარმოში შემუშავებული იქნეს სიმძლავრეების დატვირთვის პროგნოზი, ამისათვის საჭიროა და ეს შესაძლებელია სასაქონლო ბაზრებზე კონიუქტურის შესახებ დეტალური ინფორმაციის შესწავლის საფუძველზე;

2. ფულის ნაკადების ფორმირების მეთოდები. დღეს ფინანსური რესურსები უმეტესწილად გამოვიდნენ პირდაპირი სახელმწიფო რეგულირების სფეროდან. ამიტომ აუცილებელია განისაზღვროს თუ რა მოცულობას მიაღწევს კერძო კაპიტალი და საით იქნება იგი მიმართული;

3. ფასების დინამიკა და მისი მოქმედება წარმოებასა და განაწილებაზე. ამჟამად შეუძლებელია მიიღოთ რაიმე საიმედო წარმოების პროგნოზური შეფასება, თუ არ იცით ფასების კონიუქტურა;

4. ლარის შიდა კონვერტაცია. ცნობილია თუ რომელ დარგში ხდება ვალუტის გამომუშავება, რომელ დარგს სჭირდება იგი იმპორტისათვის. პროგნოზი განსაზღვრავს მის მოძრაობას, თუ როგორ გადადის იგი ერთი მესაკუთრიდან მეორის ხელში.

პროგნოზირება მჭიდროდ არის დაკავშირებული დაგეგმვასთან, იგი წარმოადგენს საგეგმო გაანგარიშებების აუცილებელ პირობას.

დაგეგმვა, როგორც მეცნიერება წარმოადგენს ცოდნის სისტემატიზირებულ ერთობლიობას სხვადასხვა სამეურნეო ფორმებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესახებ.

დაგეგმვა ეს არის მიზანმიმართული მოქმედება სახელმწიფოს, მართვის ორგანოების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების შემუშავების, სამეურნეო სუბიექტების, რეგიონების, დარგებისა და საკუთრების ყველა ფორმის საწარმოებისათვის. იგი ით-

ვალისწინებს, რომ შემუშავდება და პრაქტიკულად განხორციელდება ეკონომიკური სისტემის მომავალი მდგომარეობის მიღწევის განმსაზღვრელი გზები, ხერხები და საშუალებები, გეგმები.

მსოფლიოში დაგეგმვისადმი დაინტერესება და ყურადღება გაიზარდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, რაზეც გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და საბჭოთა კავშირში დაგეგმვის გამოცდილებამ. პირველმა გეგმებმა მიკრო დონეზე მოიცვეს საფინანსო-საბიუჯეტო და საფინანსო-საკრედიტო სფეროები. მათმა ასახვა ჰპოვეს ნაციონალურ ბიუჯეტებში, რომელთა შემუშავება ხდებოდა ფინანსთა სამინისტროებში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში რიგ ინდუსტრიულ ქვეყნებში შეიქმნა ნაციონალური დაგეგმვის განვითარებული სისტემა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მისი სფერო. მან მოიცვა არა მხოლოდ ბიუჯეტი, არამედ მატერიალური წარმოება. 60-იანი წლებიდან რიგ განვითარებულ ქვეყნებში შეიქმნა სპეციალური საგეგმო ორგანოები. მაგალითად, საფრანგეთში-დაგეგმვის გენერალური კომისარიატი, კანადაში–ეკონომიკური საბჭო, იაპონიაში – ეკონომიკური საკონსულტაციო საბჭო, ჰოლანდიაში – ცენტრალური დაგეგმვის ბიურო და სხვა.

ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ეკონომისტები კამათობდნენ დაგეგმვისა და ბაზრის შეთანაწყობაზე და როდესაც საბაზრო ურთიერთობა გახდა რეალობა, ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ გეგმა და ბაზარი ეს არ არის ანტიპოდები, არამედ ისინი არიან ერთიანი ეკონომიკური სისტემის შემავსებელი ელემენტები, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმები. ამერიკელი პროფესორი კ. ფლეკსნერი წერს: „საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა დაგეგმვა თანამედროვე ეკონომიკაში,

მაგალითად აშშ ეკონომიკაში, ამჟამად არ დგას, ამაზე უკვე მიღებულია არა ორაზროვანი პასუხი"[1]

გეგმაზომიერება, როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების მუდმივად შენარჩუნებული პროპორციულობა აღიარებულია ყველა ცივილიზაციის მიერ. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში პროგნოზირება და დაგეგმვა წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების მნიშვლენოვან მხარეს. ეკონომიკის გეგმიური მართვა ემსახურება პრინციპს–არა საზოგადოება ბაზრისთვის არამედ ბაზარი საზოგადოებისათვის.

„მსოფლიო ეკონომიკის 3/4 რეალურად ფუნქციონირებს თავისებურ „გეგმიან" სისტემაში. ეს მოვლენა ადასტურებს იმას, რომ თანდათანობით ძალას იკრებს კონვერგენციის პრინციპები, ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელშიც შეხამებულია გეგმიური და საბაზრო საწყისები."[2]

განასხვავებენ დირექტიულსა და ინდიკატურულ სახელმწიფო დაგეგმვას. გეგმის შედგენის პროცესში ფორმირდება მათი შემუშავების ლოგიკა. დირექტიული დაგეგმვის დროს იგი ფორმირებულია ზემოდან ქვემოთ, რომელიც ვლინდება იმაში, რომ იგი აუცილებელია ყველა შემსრულებლისათვის. მეურნე სუბიექტს არ შეუძლია თვითნებურად გადაწყვიტოს რა, როდის და სად გამოუშვას, ვის და რა ფასში მიჰყიდოს. ხოლო ინდიკატორული დაგეგმვა ფორმირებულია ქვემოდან ზემოთ. ეს არის მეთოდი, შეგნებული, მიზანდასახული სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მართვისა სახელმწიფო და

---

[1] Ж. МЭИМО. №1 2000г. стр.47.

[2] ნ.ჯითანავა-გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები. IIIნაწილი. თბ. 2001წ. გვ. 83.

არასახელმწიფო სექტორში. დღეს, საბაზრო ტიპის ეკონოკიკაში უფრო გავრცელებულია დაგეგმვა კომპანიების, ფირმების დონეზე, რასაც ხშირად ინდიკატორული, საორიენტაციო ხასიათი აქვს.

დაგეგმვის საგანს განსაზღვრავს ის თუ რით არის დაკავებული ეს მეცნიერება, როგორია მისი მოქმედების სფერო. ფაქტიურად დაგეგმვა მოიცავს საზოგადოებრივი წარმოების ყველა სფეროს – უშუალოდ წარმოებას, რომელიც მოცემული მეცნიერების ობიექტს წარმოადგენს.

დაგეგმვის ყველა პროცესი განიხილება ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებასთან მჭიდრო კავშირში. ამიტომ დაგეგმვის ორგანიზაცია სხვადასხვა ქვეყანაში პრინციპიალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დაგეგმვის მეცნიერების ამოცანაა თეორიული ანალიზის გზით ახსნას საგეგმო პროცესების ურთიერთდამოკიდებულების არსი, განსაზღვროს განვითარების მიმართულება და შექმნას არსებული რესურსების საუკეთესო გამოყენების შესაძლებლობა წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

1.2. პროგნოზირების, როგორც სამეურნეო სუბიექტებისა და სახელმწიფოს ფუნქციის, როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

თანამედროვე ეკონომიკა, როგორც საბაზრო კავშირებისა და მათი ურთიერთგანპირობებულობის რთული სისტემა, წარმოუდგენელია სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე. მრავალწლიანი მსოფლიო პრაქტიკა ადასტურებს მაკროეკონომიკური რეგულირების ობიექ-

ტურ აუცილებლობას. დაწყებული დიდი დეპრესიის პერიოდიდან, ეკონომისტები და პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია გადაწყვიტოს ქვეყნის ნორმალურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემა. მართალია, საბაზრო ეკონომიკა თავისი არსით თვითრეგულირებადი სისტემაა, მაგრამ „უხილავი ხელის" მოქმედებას აქვს გარკვეული საზღვრები, რომლის იქითაც იგი უძლურია და არ შესწევს უნარი დაძლიოს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ არსებული წინააღმდეგობები. ჯ. ჰელბრეითის აზრით "ბაზარს ახასიათებს უამრავი დეფექტი და ნაკლოვანება, რომელიც სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს".[3]

ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება გულისხმობს, ცივილიზებული ბაზრის ფორმირების დროს, ეკონომიკის მყარი განვითარების მიზნით დიდი რაოდენობის მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობის გამოყენებას. მყარი ეკონომიკის განვითარება უნდა იყოს მთელი საზოგადოების ინტერესში, ხოლო მისი რეგულირება მოიცავდეს საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა მხარეს. აქ სახელმწიფოს უნდა ეკავოს წამყვანი ადგილი.

დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ ბაზარს არ შეუძლია დაარეგულიროს ნაციონალური და რეგიონალური ეკონომიკური პროგრამების რეალიზაცია, გადაწყვიტოს უმუშევრობის პრობლემები, ვალუტის კონვერტირებადობა და ფულადი მიმოქცევის აწყობა, ფუნდამენტალური კვლევების ჩატარება და სხვა. ნებისმიერი სამეურნეო ობიექტის უფრო ზუსტი პროგნოზირებისათვის აუცილე-

---

[3] Гелбрейт Дж. К. Экономические теории и цели общества. Персвод с английского. М. 1979г. стр. 74.

ბელია გვქონდეს არა მხოლოდ სამეურნეო სუბიექტების, არამედ მთელი ნაციონალური ეკონომიკის, მისი ცალკეული ქვესისტემის, კომპონენტებისა და ელემენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. ამასთან აუცილებელია უწყვეტლივ დაიხვეწოს თვით პროგნოზირების მეთოდოლოგია, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან კავშირში.

საზოგადოდ, მსოფლიოში არსებული სკოლებიდან სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკაში არც ერთი არ უარყოფს. მაგრამ ყველას სხვადასხვანაირად წარმოუდგება სახელმწიფო რეგულირების მიზნები და მეთოდები. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ძირითად მაჩვენებლად ითვლება მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფოს წილი.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის, როგორც ფორმები ასევე მაშტაბები არ წარმოადგენს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ დოგმას და იცვლებიან ქვეყნის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. ნორმალურ პირობებში ყველა ქვეყანაში ყალიბდება კონკრეტული პირობებისადმი ოპტიმალური სახელმწიფო რეგულირების ზომა. კრიტიკულ პირობებში გამოიყენება დამატებითი ბერკეტები, არასტანდარტული გადაწყვეტილებები. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო რეგულირების ზომის სწორად და დროულად შერჩევას. ამჟამად საქართველოში საბაზრო სისტემის ფორმირების თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ფორმების და მეთოდების შესწავლას. ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით მისადმი მისადაგებასა და პრაქტიკაში დანერგვას.

საერთაშორისო ეკონომიკურმა ცენტრმა შეიმუშავა ეკონომიკური თავისუფლების 17 მაჩვენებელი, რომლებიც გაერთიანებულნი არიან 4 ჯგუფში:

1. ბაზრების სახელმწიფო რეგულირება (კერძო სექტორის დაცვა ზედმეტი რეგულირებისაგან);

2. სახელმწიფო ფინანსური ამონაგები (დაცვა გადასახადების სიმძიმისაგან);

3. ინფლაცია (ფულის, როგორც გაცვლისა და შენახვის საშუალების დაცვა);

4. საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო კონტრაქტების თავისუფლება).

ამ კრიტერიუმების მიხედვით უფრო თავისუფალია იმ სახელმწიფოთა ეკონომიკა, სადაც უფრო აქტიურად იცავს სახელმწიფო ჩამოთვლილ პრინციპებს.

ეკონოკიმური სისტემა თავის თავში შეიცავს წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების ფაზებს, რომელთა შორის სეხელმწიფოს უჭირავს პრიორიტეტულობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტიქიური პროცესები. სახელმწიფო აწარმოებს საინვესტიციო, საწრმოო პოლიტიკას, ანვითარებს მეწარმეობას, ქმნის მაქსიმალურ კეთილსასურველ რეჟიმს როგორც ბიზნესისათვის, ასევე მომხმარებლისათვის, ადგენს ყველასათვის თამაშის ერთიან წესებს. სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია განათლებისა და მეცნიერების განვითარება; ნაციონალური ინტერესების, გარემოსა და ადმიანების უფლებების დაცვა. იგი გამოდის სტაბილურობის გარანტად. ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე ზემოქმედებას სახელმწიფო ახორციელებს ნორმატულ-სამართლებრივი აქტების შექმნის გზით, პერსპექტიული განვითარების პროგნოზების შემუშავებითა და განხორციელებით, კანონმდებლობის დაცვის კონტროლის განხორ-

ციელებით და სხვა ბერკეტებით. თუ სახელმწიფო რეგულირება არ მოქმედებს, მაშინ განვითარების ვერც ერთი მოდელი ვერ იქნება განხორციელებული.

დღეს საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამ და საერთოდ რეფორმების გამოცდილებამ დასაბუთებულად დაგვიმტკიცა, რომ ეკონომიკის აღორძინება შეუძლებელია ეროვნული მეურნეობის მეცნიერული პროგნოზირების, პროგრამულ-მიზნობრივი რეგულირების გარეშე. სახელმწიფო წარმოადგენს თანამედროვე განვითარებული ეკონომიკის, განუყოფელი ეკონომიკური მექანიზმის ელემენტს.

პროგნოზირების როლი განუხრელად იზრდება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებასთან, მართვის ამოცანების გართულებასთან, გაურკვევლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რომელიც გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით. წარმოების მართვაში პროგნოზირება წარმოადგენს მის საფუძველს, ვინაიდან მართვის სფეროში ყოველი გადაწყვეტილების მიღებას გააჩნია საპროგნოზო მიმართულება. ამიტომაც არის, რომ პროგნოზირება იძენს უპრეცენდენტო მაშტაბებს. ყოველი ადამიანიც კი, შეგნებულად თუ შეუგნებლად ახდენს მომავალი თავისი მოქმედებების, გადაწყვეტილებების პროგნოზირებას, ახდენს მომავლისადმი თავისი შეხედულებების ფორმირებას, ე.ი. ადგენს მომავლის მოდელს.

პროგნოზირება თავისი ხასიათით ობიექტთან მიმართებაში იმყოფება ჰიპოთეზასა და გეგმას შორის. ჰიპოთეზა ემსახურება მომავლის სამეცნიერო განჭვრეტას საერთო თეორიის კანონმდებლობის დონეზე. თეორია კვეცავს პროგნოზს, მაგრამ იგი უფრო განსაზღვრული და უტყუარია, გააჩნია რა როგორც ხარისხობრივი ასევე რაოდენობრივი მაჩვენებელი. პროგნოზირება შეგვიძლია

განვიხილოთ, როგორც დაგეგმვის სტადია, ვინაიდან იგი ასახავს მომავლის კონტურებს, რის გარეშეც შეუძლებელია შემუშავებულ იქნეს მოქმედების პროგრამა.

პროგნოზის მომენტიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) პროგნოზირებადი პერიოდის დასრულებამდე იცვლება გარემო, ხდება ცვლილება სხვადასხვა შესაძლო მიმართულებით. პროგნოზი საკმარისი სიზუსტით არ განსაზღვრავს განვითარების პარამეტრებს, მაგრამ იგი გვიხსნის ალტერნეტიულ გზებს, დადებით და უარყოფით ტენდენციებს, წინააღმდეგობებს და სახავს პირობებს, რომელთა გათვალისწინებითაც მიიღწევა დასახული ამოცანის გადაწყვეტა. მას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ვარიანტი, გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორების შესაძლო ზემოქმედების ალბათობიდან.

იმ შემთხვევაში როცა გვაქვს ჩანაფიქრის რეალიზაციის რამდენიმე გზა, ხდება მოვლენათა შესაძლო განვითარების სცენარის შემუშავება. სცენარი ეს არის მომავლის აღწერა, რომელიც შედგენილია სინამდვილესთან მიახლოებული მდგომარეობების გათვალისწინებით. მისი შემუშავება ხდება მომავალი განვითარების პირობების განსაზღვრული შეთანაწყობისათვის. პროგნოზს გააჩნია რამდენიმე სცენარი, მათ შორის ოპტიმისტური, პესიმისტური, ოპტიმალურ-რეალისტური.

სცენარი ადგენს მოვლენათა ლოგიკურ თანმიმდევრობას, იგი არის არსებული სიტუაციიდან განვითარების მექანიზმი მომავალში. სცენარის შემუშავება ხდება ფუნქციონალურ-ლოგიკური მეთოდით, გააჩნია სისტემური ხასითი და ავლენს ფაქტორებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან მიღწეული იყოს დასახული მიზნები.

სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირება წარმოადგენს საზოგადოებრივი სისტემის განჭვრეტის მეთოდს, მისი

განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინებით, კაპიტალის ეფექტიანად ჩადების პერსპექტივებით. სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზები გამოსახავენ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ცვლილებებს, რომლებიც დაკავშირებულნი არიან საწარმოს ობიექტების შეფასებასათან, ღირებულებით მაკროეკონომიკურ მაჩვენებლენთან, მოთხოვნა-დაკმაყოფილებასთან, შრომით ურთიერთობებთან, შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურასთან. ისინი თავის თავში შეიცავენ განვითარების მაკროეკონომიკური სიტუაციების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოებისა და მოთხოვნის დინამიკის, ცხოერების ხარისხისა და დონის, საგარეოურთიერთობითი საქმიანობის, ეკოლოგიური მდგომარეობის მაჩვენებლების, ასევე განათლების სისტემის, მოსახლეობის ჯანმრთველობისა და სოციალური უზრუნველყოფის მაჩვენებლებს.

სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზირება ემსახურება სახელმწიფო ფუნქციას, სახელმწიფო პროგნოზირება წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიმართულებების შესახებ წარმოდგენების მეცნიერულად დასაბუთებულ სისტემას, რომელიც ეფუძნება საბაზრო მეურნეობრიობის კანონებს. სახელმწიფო პროგნოზირების შედეგები საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მიერ გამოიყენება სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღების დროს.

1.3 წარმოების განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში. ფერმერი და პროგნოზირება

მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე კომერციული საქმიანობა არის ყველაფერი ის, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებული პარტნიორისათვის საჭირო მარაგების ხელმისაწვდომობას. ეს კი მოითხოვს საფუძვლიან ცოდნას წარმოების და მიწოდების, ფინანსური და სავალუტო ოპერაციების, სარეკლამო და საბროკერო საქმიანობის ორგანიზაციაში. ასევე უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფირმის საქმიანობის პროგნოზირებას საქონლის გასაღების მოცულობის განსაზღვრას, შემოსაელების ოპტიმალური დონისა და მასის გათვალისწინებით. საწარმოს საქმიანობის პროგნოზირებაში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი პარტნიორის შერჩევას-მყიდველის ან მომწოდებლის, ფასების დონისა და დინამიკის განსაზღვრას, პროდუქციის ხარისხსა და ბაზრის კონიუნქტურას, კონკურენტის ფსიქოლოგიის ცოდნას და ვაჭრობის (აუქციონების) წარმართვას. ამ პრობლემის გადასაწყვეტად მსოფლიოში გამოიყენება მრავალი ინსტიტუციონალური სტრუქტურა და საკორდინაციო მექანიზმი.

დასავლეთის მოწინავე, მაღალ დონეზე მყოფ ქვეყნებში წარმოების განვითარებას განსაზღვრავს პროდუქციის სარეალიზაციო, მსოფლიო ბაზარი. წარმოების განვითარების პროგნოზირებას იქ აწარმოებს სპეციალურად შექმნილი ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ამისათვის ფართოდ იყენებს პროგნოზირების მოწინავე მეთოდებს, მოდელირებას, კომპიუტერიზაციას და სხვა რთულ მოწყობილობა- დანადგარებს.

ეკონომიკის მარეგულირებელი ეს ორგანოები მსოფლიო ბაზრის კონიუქტურიდან გამომდინარე და მისი კარნახით, მსოფლიო ბაზაარზე მონოპოლიის მოპოვებისა და სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალის დაგროვების მიზნით ამუშავებენ სხვადასხვა სახის პროდუქტების წარმოების განვითარებისა და გასაღების პროგრამებს. ეს პროგრამა შეიძლება იყოს როგორც ხანგრძლივი პერიოდის, ისე ყოველწლიური. პროგრამის პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებაზე, თუ როგორ ცვალებადობს ბაზრის მოთხოვნილება ამა თუ იმ სახის პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხის მიმართ დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგალითად, თუ ერთი რომელიმე სახის პროდუქციაზე მოთხოვნილება მსოფლიო ბაზარზე წლების მანძილზე შედარებით უცვლელია ან დიდად არ იცვლება, მაშინ ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანო ამ პროდუქტის წარმოების განვითარების შესახებ ადგენს ხანგრძლიეი პერიოდის პროგრამას. მაგრამ თუ მოთხოვნილება პროდუქციაზე მსოფლიო ბაზარზე ყოველწლიურად და თანაც ძირფესვიანად იცვლება, მაშინ პროგრამები ერთი წლით დგება.

მაგალითად, აშშ-ში ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანოს რჩევით 1987 წელიდან სასოფლო- სამეურნეო წარმოებიდან უნდა გამოეთიშათ 28 მილიონი ჰექტარი მიწა, აქედან ხანგრძლივი პერიოდის პროგრამით 7 მილიონი და ყოველწლიური პროგრამით 21 მილიონი ჰექტარი. 10 წლის შემდეგ მათ უკვე 11 მილიონი ჰექტრით ჰქონდათ შემცირებული ერთწლიანი კულტურების ნათესები. კერძოდ, სიმინდის ნათესი შემცირდა 5 მილიონი ჰექტრით, სორგოსი- 2, ქერის- 1, სოიასი- 2, საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი მარცვლეულისა 3 მილიონი

ჰექტრით და ა.შ. სამაგიეროდ გაადიდეს შვრიის, მაგარი ხორბლის, ბამბის, არაქისის, თამბაქოს, ლობიოს და შაქრის ჭარხლის ნათესები.

ასეთ დამუშავებულ პროგრამებს მსოფლიოს მაღალგანვითარებულ ქვეყნებში აქვს რეკომენდაციის ხასიათი. ფერმერს შეუძლია მიიღოს ეს რჩევა, შეუძლია არ მიიღოს. ფერმერი, რომელიც არ მიიღებს ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამუშავებულ რეკომენდაციას და თვითონ ადგენს თავისი წარმოების განვითარების დონეს დროის მისთვის სასურველ მონაკვეთში, ჩვეულებრივ ისინი თავის დროზე იხდიან თავის წილ გადასახადს და მონაწილეობენ სახელმწიფო ინტერესების დაცვაში. ხოლო ვინც მიიღებს ამ რეკომენდაციას და ემორჩილება მის პირობებს, სახელმწიფო უწყობს ხელს და ეხმარება პროდუქციის რეალიზაციაში-გასაღებაში. ამიტომ არც მწარმოებელს, ფერმერს და მითუმეტეს არც ხელისუფლების ორგანოებს დიდად არ აინტერესებთ რამდენმა და ვინ მიიღო ან არ მიიღო ეკონომიკის მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამუშავებული პროგრამა, რეკომენდაცია, რჩევა.

რჩევები შესაძლოა მიიღოს ფერმერმა სხვა კომერციული ორგანიზაციებიდანაც, მათ მიერ გამოშვებული მასალებიდან, რომელიც ეხება მომავლის პროგნოზირებას. ამ კატეგორიებს უნდა მივაკუთნოთ რჩევები რძის მარკეტინგში, ხორცისა და მეცხოველეობის პროდუქტების კომისიის რჩევები, მარცვლეულის, კარტოფილის მარკეტინგში რჩევები და სხვა. ნაციონალური ფერმერული კავშირები ასევე გამოსცემენ ანგარიშებსა და მოხსენებებს, რომლებიც დაწერილია მასობრივი მკითხველისათვის გასაგები ენით. მას თუ დავუმატებთ იმ მასალებს, რომლებსაც აქვეყნებს სახელმწიფო და ფინან-

სური ორგანიზაციები, შესაძლოა შეგვექმნას შთაბეჭდილება, რომ არ არის საჭირო ფერმერის ჩართვა თვით პროგნოზირების საქმეში.

სინამდვილეში ფერმერმა ანალიზი უნდა გაუკეთოს ზოგადი სახის რჩევებსა და პროგნოზებს, რომ მიხვდეს, თუ ისინი როგორ ვრცელდებიან მის კონკრეტულ მეურნეობაზე. ყველა ფერმერმა უნდა განახორციელოს თავისი საქმიანობის დაგეგმვა, უნდა განსაზღვროს თავისი რესურსების ორგანიზაცია რაღაც გეგმაში. გეგმის ყოველ პუნქტში უნდა იქნეს ჩასმული ის კაპიტალი, რომელიც საჭიროა თითოეული პუნქტის შესასრულებლად. შემდეგ როცა გეგმა მოქმედებაშია ყოველი შედეგი უნდა იყოს რეგისტრირებული, გაანალიზირებული იმისათვის, რომ მიღებული შედეგები გამოყენებული იქნეს სამუშაოს მიმდინარეობის კონტროლისათვის. შედეგების ანალიზმა შეიძლება გვიჩვენოს, რომ საჭიროა გეგმის მოდიფიკაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სუსტი ადგილების აღმოფხვრას. ამასთან შესაძლოა, რომ გეგმის ხშირმა კორექტირებამ არ მოგვცეს სასურველი შედეგი, მაშინ შეიძლება აუცილებელი აღმოჩნდეს სამუშაოების მთელი კომპლექსის გადასინჯვა, რომელიც დაგეგმილია ფერმისათვის. ფერმერს, როგორც წესი არა აქვს იმის დრო, რომ გამოიყენოს პროგნოზირების რთული მეთოდები, მაგრამ ყველა ფერმერი ასე თუ ისე ცდილობს თავისი წარმოების პროგნოზირებას, რადგან ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებისათვის თანაბრად აუცილებელია მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირება.

მოკლევადიანი პროგნოზირება მოითხოვს რეგულარულ გამოკვლევებს, რათა გვქონდეს მონაცემები მიმდინარე სიტუაციის შესახებ. ასეთი მონაცემები ფერმერმა შეიძლება მიიღოს საკონსულტაციო სააგენტოს, მათთვის

განკუთვნილი სატელევიზიო გადაცემების, სასოფლო-სემეურნეო გადაცემებისა და სხვათა მეშვეობით.

პროგნოზირების რა მეთოდიც არ უნდა გამოიყენოს ფერმერმა, იგი ვალდებულია შეაფასოს მდგომარეობა ბაზარზე მოთხოვნილების სფეროში და განსაზღვროს თუ როგორ იმოქმედებს იგი პროდუქციის ღირებულებაზე, რომლის გაყიდვაც მას აქვს გადაწყვეტილი. ამიტომ ინ-ფორმაციას, რომელიც მას აქვს მიღებული გარე წყაროე-ბიდან, დაამატებს ინფორმაციას, რომელსაც იძლევა მისი ცოდნა ადგილობრივი პირობების შესახებ.

მაგალითად, მას შეუძლია არ გაყიდოს გამოწუნებული პირუტყვი იმ დროს, როდესაც ადგილობრივ ფაბრიკებსა და ქარხნებში შვებულების დროა, ან სასწავლო დაწესე-ბულებებში არდადეგებია, ვინაიდან საქონლის ხორცზე მოთხოვნილება ამ დროს ვარდება. ეს ფაქტორები, რო-მელიც უნდა გაითვალისწინოს ფერმერმა არ უნდა ჩაიკეტოს ერთი რეგიონის, თუნდაც ქვეყნის ფარგლებში.

საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირება ასევე მოითხოვს ფერმერისაგან მრავალი ფაქტორის გათვალის-წინებას. მაგალითად, მას ამ საქმეში ხელს შეუწყობს იმ ცოდნის ინტერპრეტაცია, რომელიც მას აქვს პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციოლოგიის სფეროში. ასევე უნდა იქნეს შესწავლილი სტატისტიკა, რომელიც დაანახებს ფერმერს იმ წინადადებებს, რომელიც მოსალოდნელია მომავალში. ამ მონაცემების ანალიზი მისცემს მას წარმოდგენას, მო-მავალში, საბაზრო სიტუაციის შესახებ. თუ ამ მონაცე-მებს დავუმატებთ მონაცემებს მსოფლიო ბაზრის შესახებ, მაშინ მომავლის წინადადებების სტრუქტურა დაიხატება სრულიად.

წინადადებების სტრუქტურა უნდა იქნეს შედარებული მოთხოვნილების სტრუქტურასთან. დიდი დახმარება ამ

საკითხში შეუძლია გაუწიოს ფერმერს ფინანსური გა-ზეთებისა და ანგარიშების შესწავლამ, ვინაიდან ისინი შეიცავენ არა მარტო მხოლოდ ნაციონალური ეკო-ნომიკის განვითარების ტენდენციებს, არამედ ინფორ-მაციას მოსახლეობის დასაქმების, საბაზრო კონიუნ-ქტურის, მოძრაობაში მყოფი ფულის მასის და სხვა სა-სარგებლო ინფორმაციას.

საზოგადოდ ცნობილია, რომ არ არსებობს მომავლის აბსოლუტური პროგნოზირების მეთოდები, თუ არ არის სახელმწიფო გარანტიები წარმოების მოცულობისა და პროდუქციის ფასის შესახებ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ფერმერი აღწევს განსაზღვრულ წარმატებებს, ზემოდ მოყვანილი ინფორმაციის ინტერპრეტაციის საშუ-ალებით. ხშირად ისინი გრძნობენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების აუცილებლობას და ამით უსწრებენ თავის კოლეგებს ტექნიკური გადაიარაღების საფუძველზე. ხშირად ყოველივე ეს მოითხოვს გამბედაობას, შორსმჭვრეტელობას და რისკს.

დაგეგმვის ეტაპზე ფერმერის ცოდნა მომავლის შესა-ხებ არასრული და უზუსტოა. ამისდა მიუხედავად თუ ფერმერი აწარმოებს დიდი ხნის დაკვირვებას ამა თუ იმ მოვლენაზე, მას შეუძლია რიცხობრივად გათვალოს ამა თუ იმ მოვლენის განმეორების ალბათობა.

ცნობილია, რომ დინამიურ სამყაროში ძალიან ძნელია წინასწარ განისაზღვროს მოვლენის შედეგი არა წლების მიხედვით, არამედ რამდენიმე თვით ადრეც კი. მიუხედა-ვად ამისა, თუ ფერმერი აწარმოებს დიდი ხნის დაკ-ვირვებას ამა თუ იმ მოვლენაზე, მას შეუძლია რიცხო-ბრივად გათვალოს ამა თუ იმ მოვლენის განმეორების ალბათობა. მაგრამ ასევე უნდა აღინიშოს, რომ პროგ-ნოზები, რომლებიც შემუშავებულია კაბინეტის სიმშვი-

დეში შესაძლებელია გამოუსადეგარი გახდეს პრაქტიკაში, ვინაიდან, სოფლის მეურნეობაში სიტუაციის განვითარების განსაზღვრა შეუძლებელია. მაგალითად, პირუტყვი რომელიც ზამთრის პერიოდში იმყოფება ბაგურ კვებაზე, წინასწარ განსაზღვრული ვადებით ის უკვე საძოვარზე უნდა იყოს, რადგან ზამთრისათვის შენახული საკვები უკვე გათავებულია, ხოლო ახალი ბალახი ჯერ არ ამოსულა. ამ დროს კი საბანკო ოვერდრაფტები უკვე მაღალია. სწორედ ასეთი მდგომარეობა კარგ ფერმერს აძლევს საშუალებას გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები, რომელიც იქნება გამოხატული ზუსტ და სწორ გადაწყვეტილებებში.

თავი II. პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

2.1 პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია და მეთოდიკა

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირებასა და დაგეგმვას აქვს სამი მხარე: სოციალურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური მხარე.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის სოციალურ-ეკონომიკური მხარე მოიცავს დასაპროგნოზებელ და დასაგეგმ ობიექტს, ანუ მთელ ეროვნულ მეურნეობას, მის ცალკეულ დარგებსა და სფეროებს, მათში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებს, ანუ მათ, რომელთა განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა ხდება.

ორგანიზაციული მხარე მოიცავს პროგნოზირებისა და დაგეგმვის სუბიექტს, ანუ პროგნოზებისა და გეგმების დამამუშავებელი ორგანოების სისტემას, მათ ორგანიზაციულ სტრუქტურას, ფუნქციებს, მიზნებს და უფლებამოსილებას, ანუ მას, ვინც ადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზს და გეგმას, ვინც ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს მეცნიერულად დამუშავებული პროგნოზებისა და გეგმების თავის დროზე წარმატებით განხორციელებას.

მეთოდოლოგიური მხარე კი წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის პრინციპების, მეთოდებისა და ხერხების, უმნიშვნელოვანესი საპროგნოზო და საგეგმო მაჩვენე-

ბლების შესწავლას, შემეცნებას და გამოყენებას ეროვნული მეურნეობის განვითარების პროგნოზირებაში, დაგეგმვასა და მათ ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში. პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიაში კი იგულისხმება პროგნოზების და გეგმების დამუშავების, შედგენისა და დასაბუთებისათვის გამოყენებული პრინციპების, ხერხების, მეთოდებისა და ამ პროგნოზებისა და გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებათა სისტემა.

მეთოდიკა კი არის ამა თუ იმ მოვლენის, პროცესის შესწავლის, შემეცნების გზა, ხერხი, წესი, რომელსაც იყენებს მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე მოქმედი ობიექტურად აუცილებელი ეკონომიკური კანონების, კატეგორიებისა და კანონზომიერებების შესწავლის დროს. პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდიკაში კონკრეტულად იგულისხმება სხვადასხვა საპროგნოზო და საგეგმო მაჩვენებლების გათვლის, გაანგარიშების ხერხი, წესი, გზა, რომელიც შედის პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი და ექვემდებარება მას.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის ძირითად მეთოდიკას წარმოადგენს ანალიტიკური კვლევების ჩატარება, მონაცემთა ბაზის მომზადება, ინფორმაციის შესწავლა და როგორც ერთი მთლიანის მისი წარმოდგენა.

აგროსამრეწველო კომპლექსისა და მისი ძირითადი რგოლის სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგიას ახასიათებს რამდენიმე თავისებურება. ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული კომპლექსის პროგნოზირება და დაგეგმვა უნდა მოხდეს არა მარტო ერთიანად, მთლიანად, მთელი კომპლექსის მაშტაბით, არა-

მედ უნდა განხორციელდეს აგრეთვე მისი ყველა დარგის დაბალანსებული, შეწონასწორებული და პროპორციული განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის შემდეგ თავისებურებად აგროსამრეწველო კომპლექსში ითვლება ის, რომ საბოლოო პროდუქტის წარმოების პროგნოზირება და დაგეგმვა კომპლექსში უნდა მოხდეს ნატურალურ-ღირებულებითი, დარგთაშორისი და პროდუქტშორისი ბალანსების დამუშავების საფუძველზე.

საბოლოო პროდუქტის პროგნოზირება და დაგეგმვა ხდება არა მარტო იმ გაგებით, რომ ნედლეული გადამუშავების შემდეგ მიიღებს საბოლოო პროდუქტის სახეს, არამედ, აგრეთვე მისი ეკონომიკური შინაარსით, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც რჩება შუალედური პროდუქტის გამოკლების შემდეგ და მოსახლეობის პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდება.

აგროსამრეწველო კომპლექსის საპროგნოზო და საგეგმო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, ნედნეულზე და სურსათზე გადახდისუნარიანი მოთხოვნილების ცვლილების შესაძლებლობა;
- სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო პოტენციალის მდგომარეობა;
- აგროკომპლექსის განვითარების ეკონომიკური პირობების დახვეწა, რომელიც შეიცავს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებებს, დარგთაშორის კავშირებს, საქონელმწარმოებლების ინტეგრაციის დაჩქარებას.

სოფლის მეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პროგნოზირებისას ითვალისწინებენ მოცულობებს, რომლებიც განსაზღვრულია შესაბამისი დარგობრივი და რეგიონალური აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პროგრამებით, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს მოსახლეობის სურსათით მომარაგებას. საექსპორტო მიწოდებებს, ასევე აუცილებელ მიწოდებებს სახელმწიფო და რეგიონალური საჭიროებისათვის, თესლის სადაზღვევო ფონდის შექმნას, სოფლის საქონელმწარმოებლების საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თესლით და საკვებით.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირებისა და დაგეგნვის მეთოდოლოგიის მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ეკონომიკური თეორია, რომლის დედააზრი მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ პრობლემის შესწავლის და შემეცნების მეთოდებს, ხერხებს და წესებს საფუძვლად უნდა დაედოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარებაზე მოქმედი ობიექტურად აუცილებელი ეკონომიკური კანონები და კანონზომიერებანი, მათი არსი და მოთხოვნები. კანონი ასახავს ეკონომიკურ მოვლენებს შორის ურთიერთ დამოკიდებულების სტრატეგიასა და მიზეზ-შედეგობრივ გაპირობებულობას. ასე მაგალითად, განაწილება და მოხმარება ყოველთვის შემოსაზღვრულია არსებული რესურსებით, ხოლო გაცვლა მოითხოვს ექვივალენტურობას. კანონზომიერება გამოდის ტენდენციის სახით, რომელიც ვლინდება ურთიერთკავშირების ხარისხითა და სიმჭიდროვით. მაგალითად, დამოკიდებულება წარმოების შედეგებსა და ფაქტორებს შორის. კანონების მოთხოვნა განაპირობებს შესაბამისი პრინციპების დაცვის აუცილებლობას.

ეკონომიკურ თეორიებს შორის, რომელთა მნიშვნელოვან დებულებებს ეყრდნობა ეკონომიკური და სოციალური პროცესების პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია გამოყოფენ კეინზიანურ, მონეტარულ და მარქსისტულ თეორიებს. აღნიშნული საკითხები კარგად აქვს გაშუქებული ბელორუს პროფესორს გ.ა.კანდაუროვს თავის ნაშრომში.[4]

კეინზიანური თეორია ეყრდნობა ერთობლივ ხარჯებს (ერთობლივ მოთხოვნას) და მათ კომპონენტებს. ფუძემდებლურ კეინზიანურ განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$C + G + I + (E - M) = Y,$$

სადაც C -შიგა მოხმარებაა კერძო სექტორში;

G – სახელმწიფო ხარჯები;

I – ინვესტიციები;

E – საქონლისა და მომსახურების ექსპორტი;

M – საქონლისა და მომსახურების იმპორტი;

Y – საქონლისა და მომსახურების მოცულობაა შუალედური მოხმარების გამოკლებით.

მასტაბილიზირებელი პოლიტიკის ძირითადი პარამეტრიც მონეტარული თეორიის შესაბამისად არის – ფულადი შემოთავაზებების მოცულობა. ე. ი. მონეტარიზმი ეყრდნობა ფულს. ფუძემდებლურს წარმოადგენს გაცვლის განტოლება:

$$MV = PQ,$$

სადაც M – ფულის შემოთავაზებაა;

V – ფულის ბრუნვის სისწრაფეა;

P – ფასების დონეა;

---

[4] Прогнозирование и планирование экономики.Под редакций Г.А.Кандауровой. Минск. 2003г. стр. 12-14.

Q – წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობაა.

მარქსისტული თეორიის ძირითად პრინციპებს შორის გამოყოფენ ნამატი პროდუქციის შესახებ დებულებას დაგროვების წყაროზე და ასევე დაგროვებაზე. როგორც გაფართოებული კვლავწარმოების წყაროზე.

ეკონომიკის განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის ფორმირებისათვის ხდება პროგნოზების სისტემის შემუშავება, რომელიც შეიცავს პროგნოზებს დროითი ასპექტისა და მართვის დონის მიხედვით, ასევე ქვეყნის, რეგიონების და დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კერძო და კომპლექსურ პროგნოზებს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზების შემუშავება ხდება რამოდენიმე ვარიანტად კერძოდ, გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი პერსპექტივით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივით პროგნოზების შემუშავება ხდება 15-20 წლით. იგი აუცილებელია პირველ რიგში მსხვილი გრძელვადიანი პროექტების რეალიზაციისათვის, როცა შეცდომები პროექტირების მაშტაბებში, დროში და მისგან მიღებულ ამონაგებში შესაძლოა ძვირად დაუჯდეს საზოგადოებას. გრძელვადიან პროგნოზს საფუძვლად ედება მეცნიერების, ტექნიკის განვითარების ტენდეციები და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში მოსალოდნელი გარღვევები.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი პერსპექტივით პროგნოზის შემუშავება ხდება 5-10 წლის ვადით, შემუშავების ძირითად საფუძველს წარმოადგენს საშუალოვადიან პერსპექტივაზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია. კონცეფციაში

დახასიათებულია სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიზნები, აღნიშნული მიზნების რეალიზაციის მიმართულებები, მნიშვნელოვანი ამოცანები, მოყვანილია განვითარების მიზნობრივი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები საშუალოვადიან პერსპექტივაში.

მოკლევადიან პერსპექტივაში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზის შემუშავება ხდება 3-5 წლის ვადით და შეიცავს შემდეგ ძირითად განყოფილებებს: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლები; სოციალური განვითარება; მეცნიერების განვითარება; არასაბიუჯეტო და მიზნობრივი საბიუჯეტო ფონდების ფორმირება და ხარჯვა; პრივატიზაცია; საგადასახადო ბალანსი; საფონდო ბაზრის განვითარება; კონსოლიდირებული ბიუჯეტი; წარმოებისა და მოხმარების დინამიკა.

მაკროეკონომიკის პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტს წარმოადგენს ეკონომიკური სისტემა მთლიანობაში, ნაციონალური ეკონომიკა. მაკროდონეზე ხდება ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზირება, როგორებიცაა, მთლიანი ნაციონალური პროდუქტი, ინფლაცია, ფასები, ინვესტიციები, სავალუტო კურსი, ექსპორტი და იმპორტი, საგადასახადო ბალანსი, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები, მოსახლეობის რეალური შემოსავლები და სხვა.

მიკროდონეზე პროგნოზირებისა და დაგეგმვის ობიექტებს წარმოადგენს მოთხოვნა, პროდუქციის წარმოება, გაყიდვების მოცულობები, მოთხოვნილება მატერიალურ და შრომით რესურსებზე, საწარმოო დანახარჯები და პროდუქციის რეალიზაცია, ფასები, შემოსავალი, რენტაბელობა, საწარმოს ტექნიკური განვითარება.

2.2. პროგნოზირებისა და დაგეგმვის პრინციპები

ეკონომიკური პროცესების განვითარებამ და გართულებამ, პროდუქციის გასაღების ბაზრების ახალმა გადანაწილებამ, წარმოების მაშტაბების გადიდებამ და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებამ, ახალი შინაარსი შესძინა პროგნოზირებისა და დაგეგმვის პრინციპებს. პროგნოზირებისა და დაგეგმვის დროს აუცილებელია დაცული იქნეს ის ახალი ფუძემდებლური პრინციპები, რომლებიც ქმნიან კონკრეტულ ეკონომიკურ გარემოში ქვეყნის წარმატებული საქმიანობის წინაპირობას.

საზოგადოდ პროგნოზირება და დაგეგმვა ერთი უწყვეტი პროცესის შემადგენელი კომპონენტებია, ვინაიდან მხოლოდ პროგნოზები წარმოადგენენ დაგეგმვისათვის საწყის მონაცემებს და წინასწარ საპროგნოზო მონაცემების შემუშავების გარეშე წარმოუდგენელია დაგეგმვის წარმართვა. ასევე შეუძლებელია მიღებული გეგმების შესრულება, გეგმის განხორციელების პროცესის დროს წინასწარი პროგნოზების შემუშავებისა და მათი საშუალებით გეგმებში ცვლილებების შეტანის გარეშე, განსაკუთრებით საბაზრო ურთიერთობის პირობებში.

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ ის საერთო, სპეციფიკური პრინციპები, რომლებიც დამახასიათებელი იყო სოციალისტური პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის, მაგრამ დღესაც არ კარგავენ თავის მნიშვნელობას, სრულიად ახალ მნიშვნელობას იძენენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ეს პრინციპებია: პოლიტიკისა და ეკონომიკის ერთიანობის პრინციპი, მეცნიერულობის ანუ მეცნიერული დასაბუთებულობის, დემოკრატიული ცენტრალიზმის, დაბალანსებისა და პროპორციულობის, პერ-

სპექტიული და მიმდინარე პროგნოზების შეთანაწყობის, ძირითადი რგოლის — მთავარი ამოცანის გამოყოფის, პროგნოზების, გეგმების დამუშავების, შედგენის, შესრულების შემოწმების და კონტროლის განხორციელების პრინციპი.

პოლიტიკისა და ეკონომიკის ერთიანობის პრინციპი მდგომარეობს სამეურნეო პროცესების, მოვლენების შეფასებისადმი, მათი პროგნოზირებისადმი პოლიტიკური და ეკონომიკური მიდგომის ერთიანობაში. თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში განსახორციელებელ ეკონომიკურ ღონისძიებათა სისტემას წარმოადგენს, მიმართული უნდა იყოს ხალხის მატერიალური, სულიერი და კულტურული მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილებისაკენ.

პროგნოზირების მეცნიერულობის, ანუ მეცნიერულად დასაბუთებულობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ პროგნოზირება უნდა ემყარებოდეს საზოგადოების განვითარების ობიექტურად აუცილებელი ბუნებრივი და ეკონომიკური კანონების არსსა და მოთხოვნებს, შეიცნობდეს, სწავლობდეს და იყენებდეს მათ პროგნოზირების ყველა დონეზე. ამასთან პროგნოზირებაში გამოყენებული უნდა იქნეს საბალანსო გაანგარიშებანი, მეცნიერულად და ეკონომიკურად დასაბუთებული პროგრესული ნორმები და ნორმატივები.

აგროსამრეწველო კომპლექსის მეცნიერული პროგნოზირებისათვის საჭიროა საპროგნოზო ობიექტის წარსული და თანამედროვე მდგომარეობის ამსახველი მასალების დეტალური ანალიზი ზუსტ და კონკრეტულ ციფრებში, კარგად უნდა ვერკვეოდეთ ამ ობიექტის ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში და მეცნიერულ დონეზე ვფლობდეთ ობიექტზე მიმდინარე პროცესების ტექნიკურ-

ეკონომიკურ დასაბუთებას, ვიცოდეთ მისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის ფაქტიური და პერსპექტიული დონე და ზუსტი წარმოდგენა გექონდეს მეცნიერების და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის მთელ შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ფაქტორების საუკეთესო კორდინაციის, მათი ერთმანეთთან ყველაზე რიალური და ობიექტურად აუცილებელი დაკავშირების საფუძველზე უნდა მოხდეს რამოდენიმე სახისა და ხასიათის კომბინირებული გათვლა, სადაც ყველაზე კანონზომიერი და ცხოვრებისეული ვარიანტის შერჩევა მოგვცემს ყველასათვის მისაღებ, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგნოზს.

დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი პროგნოზირებასა და დაგეგმვაში ნიშნავს ცენტრალიზებული პროგნოზირებისა და დაგეგმვის სწორ შეხამებას, შეთანაწყობას, შეთანხმებას ხალხის, დემოკრატიის ინტერესებთან. თუ პროგნოზირებასა და დაგეგმვაში თავი იჩინა მარტო ცენტრალიზმა და ანგარიში არ გაეწია ხალხის დემოკრატიის მოთხოვნებს, მათ ინტერესებს, მაშინ ხელმძღვანელობაში გაბატონდება სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, რაც უარყოფით გაელენას მოახდენს წარმოების განვითარებაზე, პროდუქციის რაოდენობასა და ხარისხზე. საპირისპირო შემთხვევის დროს პროგნოზირებასა და დაგეგმვაში, თუ გაბატონდა მარტო დემოკრატიზმი და ანგარიში არ გაეწია ქვეყნის საერთო ინტერესებს, მაშინ მოხდება ანარქია, რომელსაც დაძაბულობა შეაქვს მასებში და თავის უარყოფით დაღს დაასვამს ქვეყნის საერთო წინსვლას და განვითარებას.

პერსპექტიული და მიმდინარე პროგნოზირების შეთანაწყობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ პერსპექტიული

პროგნოზებიდან უნდა გამომდინარეობდეს მიმდინარე პროგნოზები. ე. ი. ჯერ დგება გრძელვადიანი პროგნოზები და შემდეგ მათგან გამომდინარეობს საშუალოვადიანი, ხუთწლიანი, სამწლიანი და მიმდინარე პროგნოზები.

დაბალანსებისა და პროპორციულობის პრინციპი ითვალისწინებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზებისა და გეგმების დაბალანსებას, შეწონასწორებას მათ შესასრულებლად საჭირო ყველა სახის მატერიალურ-ტექნიკურ, შრომით და ფინანსურ რესურსებთან.

ძირითადი რგოლის, მთავარი ამოცანის გამოყოფის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზმა და დაგეგმვამ არ შეიძლება მოიცვას საპროგნოზო და საგეგმო ობიექტის ყველა ელემენტი, ყველა მაჩვენებელი, ამიტომ პროგნოზირებისა და დაგეგმვის დროს აუცილებელია გამოიყოს ძირითადი, მთავარი ამოცანები, მთავარი საკვანძო პრობლემები, საკითხები და მხოლოდ მათი მიხედვით განისაზღვროს განვითარების ძირითადი ტენდეციები, ტემპები, მაშტაბები და პრინციპები.

პროგნოზების, გეგმების დამუშავების, შედგენის, შესრულების შემოწმების და კონტროლის განხორციელების პრინციპი ითვალისწინებს ყოველდღიური, დეკადური, ყოველთვიური, კვარტალური, ნახევარწლიური და წლიური პროგნოზების, გეგმების შესრულების ანალიზს, ჩამორჩენის მიზეზების დადგენას და მათ სალიკვიდაციოდ საჭირო ღონისძიებათა დროულად დასახვას და განუხრელად განხორციელებას.

საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამ გამოიწვია პროგნოზირებისა და დაგეგმვის თვისობრივად განსხვავებული

პრინციპების დაფუძნება, ამიტომ ჯერ განვიხილოთ პროგნოზირების და შემდეგ დაგეგმვის ახალი პრინციპები. პროგნოზირების ძირითადი პრინციპებია: სისტემურ-კომპლექსური მიდგომის პრინციპი, პროგნოზების შეთანხმების პრინციპი, ვარიანტულობის პრინციპი, უწყვეტობის პრინციპი, ვარიფიცირებისა და რენტაბელობის პრინციპი. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალცალკე.

ეკონომიკური პროცესების საპროგნოზო გაანგარიშებისას ძირითად პრინციპს წარმოადგენს **სისტემურ-კომპლექსური მიდგომის პრინციპი.** ეკონომიკური პროცესების სისტემურობა კი მიიღწევა სამი ძირითადი მეთოდით:

1. ერთიანი ეკონომიკური მიზნის არსებობა და ქვეყნის ყველა ელემენტის ურთიერთქმედება პროგნოზირების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ დონეებზე;

2. ქვეყნის ყველა ერთეულისა და საქმიანობის სფეროს ცალკეული პროგნოზები ერთად უნდა ადგენდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთიან პროგნოზს;

3. პროგნოზებში ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომელთაც შესაძლოა გაელენა მოახდინონ გადაწყვეტილების მიღებაზე.

საპროგნოზო მაჩვენებლები სწორად უნდა პასუხობდეს წარმოების მიზანს და უზრუნველყოფდეს გათვალისწინებულ დროში მათ წარმატებულ შესრულებას. ამ თვალსაზრისით საჭიროა, რომ კომპლექსურად გადაიჭრას ქვეყნის გაძღოლის პროცესში ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული, ამავე დროს მნიშვნელოვნად განსხვავებული ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის საკითხები. ამრიგად, პროგნოზირების

კომპლექსურობის უზრუნველყოფა საპროგნოზო მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა.

მაშასადამე, სისტემურ-კომპლექსური მიდგომის პრინციპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ცალკეული ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზირებისას აუცილებელია მაქსიმალურად იქნეს გათვალისწინებული ეკონომიკური და სოციალური ფაქტორების ერთობლიობა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ამ ეკონომიკურ პარამეტრზე.

დარგობრივი პროგნოზების შემუშავებისას ითვალისწინებენ **მოვლენების დინამიურობის პრინციპს** და ამიტომ მას ხანდახან უწოდებენ სისტემურ-დინამიურ პრინციპსაც. საბაზრო პირობებზე გადასვლასთან დაკავშირებით პროგნოზზე ძლიერ გავლენას ახდენს სახელმწიფოს მონეტარული, ფისკალური და სტრუქტურული პოლიტიკის მულტიპლიკაციური ეფექტების დინამიკა.

პროგნოზების შეთანხმების პრინციპი. საპროგნოზო მაჩვენებლების შეთანაწყობა ამა თუ იმ გარემოში მიიღწევა: ა) გარემოს დინამიური ფაქტორების ანალიზით; ბ) საპროგნოზო მაჩვენებლებზე გარეშე ფაქტორების გავლენის შესწავლის გზით. ეს პრინციპი ითვალისწინებს საპროგნოზო მაჩვენებლების შეთანხმებას, რომლებიც განსხვავდება მაშტაბებით (მიკრო და მაკრო პროგნოზები), საპროგნოზო პერიოდით (ოპერატიული, მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზები) და ა. შ.

პროგნოზირების უწყვეტობის პრინციპი. საბაზრო ურთიერთობის პირობებში განუწყვეტლივ იცვლება ეკონომიკური გარემო. ეს კი მოითხოვს სიტუაციის განუწყვეტლივ შესწავლასა და შესაბამისად ახალი პროგნოზების შემუშავებას, როგორც დროის, ისე შინაარსის მიხედვით. ამასთანავე უნდა მოხდეს პროგნოზების და-

ზუსტება. კერძოდ, ოპერატიული პროგნოზების საფუძველზე- მოკლევადიანის, ამ უკანასკნელის საფუძველზე საშუალოვადიანის, ხოლო საშუალოვადიანის საფუძველზე კი –გრძელვადიანი პროგნოზების დაზუსტება.

პროგნოზირების ვარიფიცირების (უტყუარობის) პრინციპი. ამ პრინციპის მიზანია, რელური პროცესების საკმაოდ ზუსტი მოდელირებით, ისეთი პროგნოზირების მოდელის შექმნა, რომლითაც შესაძლებელია მიღებული იქნას ეკონომიკური შედეგების საკმარისი საიმედობა და პროგნოზირებადი საქმიანობის შედარებით ზუსტი ასახვა. პროგნოზირების სიზუსტის ამაღლებისათვის აუცილებელია მრავალრიცხოვანი, მრავალფაქტორული ექსპერიმენტალური გათვლები, რომლებიც მაქსიმალურად გვისაბუთებენ ამორჩეული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების, გასაანალიზებელი და საპროგნოზო პროცესების ალგორითმებისა და პროგრამების მდგომარეობის შესაბამისობას. ამავე დროს მნიშვნელოვანია ამ სფეროში მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, დამუშავება და ჩვენი ქვეყნის პირობებისადმი მისადაგება, რის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკური განვითარების დაჩქარება.

პროგნოზირების ვარიანტულობის პრინციპი – მდგომარეობს ობიექტის, მომავალი გარემოს გაურკვევლობის პირობებში, მოვლენების შესაძლო განვითარების რამოდენიმე ვარიანტის შემუშავებაში. იგი მოითხოვს პროგნოზის რამდენიმე ვარიანტის შედგენას, ანუ პროგნოზის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის რამდენიმე ვარიანტის დამუშავებას, საიდანაც შეირჩევა ყველაზე ოპტიმალური და რიალური, მეცნიერულად დასაბუთებული და რენტაბელური ვარიანტი.

პროგნოზირების რენტაბელურობის პრინციპი – მდგომარეობს იმაში, რომ მრავალრიცხოვან საპროგნოზო გათვლებზე გაწეული დანახარჯები არ უნდა იყოს დიდი, ე. ი. პროგნოზირებაზე გაწეული ხარჯები უნდა შეესაბამებოდეს მიღებულ სარგებელს. მაშასადამე, ეს პრინციპი მოითხოვს პროგნოზების ისეთი ვარიანტის შერჩევას, რომელიც ყველა სხვა თანაბარ პირობებში იძლევა წარმოების რენტაბელობის უმაღლეს დონეს.

საზოგადოდ, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა ერთიან პროცესს წარმოადგენს. ნებისმიერი სახელმწიფო წყობის პირობებში დაგეგმვას მნიშვლენოვანი ადგილი უკავია, როგორც მთლიანად სახელმწიფოს მაშტაბით, ასევე ყოველი საწარმოსა და ბიზნეს ჯგუფის საქმიანობაში, ხოლო დაგეგმვის ამოსავალს წარმოადგენს მისი პრინციპები, ისინი ნებისმიერ ეკონომიკურ გარემოში ქმნიან სახელმწიფოსა და მისი ცალკეული საწარმოსათვის წარმატებული საქმიანობის წინაპირობას. საზოგადოდ, განიხილავენ დაგეგმვის ხუთ ძირითად პრინციპს, აქედან ოთხი (უწყვეტობა, ერთიანობა, მოქნილობა და სიზუსტე) ჩამოაყალიბა ა. ფაიოლმა, ხოლო მეხუთე (მონაწილეობის) პრინციპი კი დაუმატა ა. ანსოფმა.[5] აღნიშნული პრიციპების გარდა თეორიასა და პრაქტიკაში იყენებენ კიდევ 12-მდე პრინციპს.

უწყვეტობისა და მოქნილობის პრინციპები. მოქნილობის პრინციპი ახდენს უწყვეტობის პრინციპის დაზუსტებას და ხშირად ამ ორ პრინციპს ერთად განიხილავენ. უწყვეტობის პრინციპი ნიშნავს მუდმივად ცვალებად გა-

---

[5] В.А. Горемыкин. Планирование на предприатии. Учебник. М. 2003г. стр. 59.

რემოში, გარემოსადმი შეგუებად დაგეგმვის განუწყვეტელ პროცესს. ამრიგად, საბაზრო ურთიერთობების პირობებში საგეგმო პროცესი განუწყვეტლივ უნდა მიმდინარეობდეს გარემო პირობების შესწავლის ფონზე და ყოველი გარემო პირობის მნიშვნელოვანი ცვლილება გამოიწვევს გეგმის კორექტირებასაც, ამისათვის გეგმაში ჩადებული უნდა იყოს ფინანსური რეზერვები (რომლებსაც ხშირად უწოდებენ უსაფრთხოების ბალიშებს) გეგმის გარემო პირობების ცვლილებებთან შესაგუებლად. ეს რეზერვები უნდა იყოს ოპტიმალური, ვინაიდან პირველ შემთხვევაში შესაძლებელია გეგმის უზუსტობა, ხოლო მეორეში კი შესაძლებელია დაზუსტდეს საწარმოს განვითარების სიმდგრადე.

უწყვეტობის პრინციპი გულისხმობს, რომ ერთი საგეგმო პერიოდის დასრულებისათვის, უნდა იქნეს შემუშავებული მეორე გეგმა უფრო ფართე ეკონომიკური ჰორიზონტითა და სისტემური კორექტირების შესაძლებლობით. დაგეგმვის უწყვეტი პროცესის დროს იცვლება, როგორც გარემო და წინა პირობები, არამედ შიდა შესაძლებლობები და ფასეულობები. ამიტომ, აუცილებელია ყოველივე ამის გათვალისწინება დაგეგმვის პრიცესში, ვინაიდან მიღებულმა შედეგებმა არ დაკარგონ თავიანთი მნიშვნელობა.

ერთიანობის პრინციპი. იგი გულისხმობს დაგეგმვის სისტემურ ხასიათს, რომელიც წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ერთობლიობას და ქმნის ერთ მთლიან სისტემას. ე.ი. საწარმოს, რეგიონის, სახელმწიფოს დაგეგმვა უნდა იქნეს განხილული, როგორც ურთიერთდაკავშირებული სისტემა. ყოველი გეგმის ქვეგანყოფილებების საქმიანობის დაგეგმვის კორდინაციის დროს, უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ მისი ყოვე-

ლი საქმიანობის დაგეგმვა შესაძლებელია, მხოლოდ აღნიშნული დონის სხეა ერთეულების საგეგმო საქმიანობასთან ურთიერთკავშირში და ყოველი ერთეულის გეგმაში მომხდარი კორექტირება იწვევს ცვლილებებს მასთან დაკავშირებული ქვეგანყოფილებების გეგმებშიც ე. ი. მთლიან გეგმაშიც.

სიზუსტის პრინციპი მდგომარეობს გეგმების მაღალი ხარისხის სიზუსტით შედგენაში, რომლის დროსაც ეყრდნობიან შედარებით ზუსტ პროგნოზებს, იმისათვის, რომ მიღწეული იქნეს დასახული მიზანი. მოკლევადიანი, ოპერატიული გეგმებიდან საშუალო და გრძელვადიან სრატეგიულ გეგმებზე გადასვლისას დაგეგმვის სიზუსტე და დეტალიზაცია შესაძლოა შემცირდეს, ამიტომ გეგმები უნდა იქნეს კონკრეტიზირებული და დეტალიზირებული ისეთი ხარისხით, რის საშუალებასაც იძლევა საქმიანობის შიდა და გარე პირობები.

მონაწილეობის პრინციპი. იგი გულისხმობს ორგანიზაციისა და საწარმოს ყოველი წევრის საგეგმო საქმიანობაში მონაწილეობას იმის და მიუხედავად, თუ რა თანამდებობა უკავია და რა ფუნქცია აკისრია მას. აღნიშნული პრინციპი ხელს უწყობს მუშაკთა დაგეგმვაში მონაწილეობის გზით, მათ განვითარებას, იძენენ რა ახალ ცოდნას და ფართოვდება მათი შესაძლებლობების ჰორიზონტი. ამ გზით ორგანიზაციას უჩნდება თავისი ამოცანების გადაწყვეტისათვის დამატებითი რესურსები.

დაგეგმვის დროს მონაწილეობის პრინციპი ორი თავისებურებით ხასიათდება:

1. პერსონალის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობა აძლიერებს მისი ქცევის მოტივაციას.

2. დაგეგმვა შენთვის ფსიქოლოგიურად და ეკონომიკურად უფრო ეფექტურია, ვიდრე დაგეგმვა სხვისთვის.

დაგეგმვის პროცესში ჩამოთვლილი ძირითადი პრინციპების გარდა ჩვეულებრივ ითვალისწინებენ ასევე საერთო ეკონომიკურ პრინციპებს, როგორებიცაა: მეცნიერულობა, პრიორიტეტულობა, დინამიურობა, ეფექტურობა, კომპლექტურობა და ა. შ.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის ფუძემდებლური პრინციპები მჭიდროდ არინ დაკავშირებულნი ერთმანეთთან და საბოლოო ანგარიშით ორიენტირს უკეთებენ საწარმოებს, ფირმებს, მეწარმეებს, რათა ყოველმხრივ დაასაბუთონ საპროგნოზო, საგეგმო მაჩვენებლები და მიაღწიონ წარმოების მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. ისინი განსაზღვრავენ საპროგნოზო, საგეგმო მუშაობის შინაარსა და ორიენტაციას პროექტისა და მისი რეალიზაციის ყველა სტადიაზე.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება ეაინშტეფანის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ტრისფორდის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების „წარმოების დაგეგმვისა და მართვის" პირველი მოდულის მიხედვით საწარმოს მეცნიერული დაგეგმვისათვის აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შემდეგი ეკონო-მიკური პრინციპები:

1.**ზღვრული დირებულების პრინციპი**, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვიკვლიოთ საწარმოს ორგანიზაციაში მომხდარი მცირე ცვლილებების გავლენა საწარმოს წარმატებაზე. საწარმოს ორგანიზაციაში შესაძლო ცვლილებები შეგვიძლია მივაკუთვნოთ ქვემოთ მოყვანილი სამი სიბრტყიდან ერთ-ერთს:

ა) დანახარჯების ოპტიმალური სიდიდე, რომლის განსაზღვრისას მსჯელობა მიდის რაოდენობრივ და ღირებულებით ურთიერთობებზე პროდუქტსა და ამ პროდუქტის საწარმოებლად გამოსაყენებელ წარმოების საშუ-

ალებებს (ფაქტორებს) შორის. როგორც წესი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საჭირო საშუალებების გაზრდისას (მაგალითად სასუქის) იზრდება მოსავალი (მაგალითად მარცვლეულის), მაგრამ მოსავლის გაზრდა ერთი ერთეულით (ზღვრული პროდუქტი) წარმოების საშუალებების ერთი და იგივე რაოდენობის გამოყენებისას დანახარჯების ოპტიმალური სიდიდე ყოველთვის მცირდება. ამიტომ პროდუქციაზე და წარმოების საშუალებებზე განსაზღვრული ფასის შემთხვევაში ნახარჯების გაზრდა, მაშინ არის მიზანშეწონილი, როცა მიღებული შემოსავალი (ზღვრული შემოსავალი) ფარავს დამატებით დანახარჯებს (ზღვრული დანახარჯები).

ბ) დანახარჯების ოპტიმალური შედგენა. პროდუქციის წარმოების დროს, როგორც წესი ხდება მრავალი ფაქტორის ურთიერთქმედება (წარმოების საშუალებები), რომელთაგან მხოლოდ რამოდენიმეა ურთიერთშემცველელი (მაგალითად 10კგ. რძის წარმოება შესაძლებელია საკვების სხვადასხვა კომბინაციით). ერთი ფაქტორის მეორეთი შეცვლისას ხშირად მოქმედებს ჩანაცვლების ზღვრული ნორმის კანონი. ე.ი. ერთი რომელიმე წარმოების საშუალების დამატებით გამოყენება სხვის მაგიერ ყოველთვის იწვევს კანონზომიერ დანახარჯებს. დანახარჯების ოპტიმალური რაოდენობა დამოკიდებულია ასევე წარმოების ფაქტორების ფასზე. ურთიერთშემცველელი ფაქტორების ოპტიმალური კომბინაცია, განსაზღვრული პროდუქტის წარმოების დროს მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი დანახარჯების თანხა ყველაზე მცირეა, ე.ი. თუ ორი ფაქტორის თანმიმდევრული შეცვლისას დამატებითი დანახარჯების თანხა ისევე მაღალია, როგორც ეკონომია.

გ) წარმოების ოპტიმალური მიმართულება. საწარმოოტექნიკური ურთიერთობები გადადის ასევე წარმოებული

პროდუქტების ურთიერთობის სფეროში. ერთი საწარმოო პროცესის გაფართოებას მეორის სანაცვლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით აქვს აზრი, თუ დამატებითი შემოსავალი (ზღვრული შემოსავალი), გაფართოებული საწარმოო პროცესის შემოსავალი ფარავს მინიმალურ მოგებას (ზღვრული დანახარჯები). ოპტიმალური კომბინაცია (წარმოების არსებული ფაქტორების ფარგლებში) შესაძლოა მიღწეულ იქნეს მაშინ, თუ საერთო მარჟინალური შემოსავალი (და ამიტომ მოგებაც) ყველაზე მაღალია, ე.ი. ერთი საწარმოო პროცესის თანმიმდევრული შეცვლით მეორეთი, ზღვრული შემოსავალი ნულის ტოლი რჩება.

მაქსიმალური შემოსავალი (წარმოების ოპტიმალური ორგანიზაცია) მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ერთდროულად ყველა სიბრტყეში განხილვისას სრულდება ზღვრული ღირებულების პრინციპი. პრაქტიკულად ეს ძნელად თუ მიიღწევა, რადგან თანაბარუფლებიანი ფაქტორები სამივე სიბრტყეში მოქმედებენ ერთმანეთზე. ამიტომ აღნიშნული პრინციპის გამოყენებით დაგეგმვის დროს მსჯელობა მიდის იმაზე, თუ როგორ მივუახლოოთ დანახარჯების კალკულაცია ოპტიმალურს.

2. **ალტერნატიული დანახარჯების პრინციპი**. ზღვრული ღირებულების პრინციპის განსაზღვრისას ნავარაუდევი იყო, რომ ყოველი ფაქტორი შესაძლოა ნებისმიერი რაოდენობით იქნეს ნაყიდი. მაგრამ ყველა ვარაუდი არ არის ქმედითი წარმოების ყველა საშუალებისათვის. წარმოების ზოგიერთი ფაქტორი არ არის შესაძლებელი (ყველა შემთხვევაში დროის მცირე მონაკვეთში) იყოს შეცვლილი (მაგალითად მიწა, შენობები, სამუშაო ძალა), წარმოების სხვა საშუალებები (მაგალითად საკვები) მოთხოვნილების არსებობისას უნდა იქნეს წარმოებულები საწარმოში საკუთარი ძალებით.

აღნიშნული საწარმოო საშუალებების დადგენისას აუცილებელია გაკითვალისწინოთ ალტერნატიული დანახარჯები. ისინი წარმოიშვებიან იმ შემთხვევაში, თუ ერთი ან რამოდენიმე ფაქტორის არ არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოების ერთი დარგის გაფართოება, ამასთან ერთდროულად მეორის ან რამოდენიმე წარმოების დარგის შეზღვუდის პირობებში.

თუ დადგენილია წარმოების რომელი დარგი უნდა იქნეს შეზღუდული, მაშინ ალტერნატიული დანახარჯების დადგენა ადვილია. ამრიგად, პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას, რომელი ტექნოლოგიური პროცესის დახმარებით (რა მოცულობით) არის შესაძლებელი წარმოების რომელიმე დარგის გაფართოება მცირედი დანახარჯებით (ე.ი. შემოსავლების ყველაზე ნაკლებად შემცირებით).

ზღვრული ღირებულების პრინციპისა და ალტერნატიული დანახარჯების პრინციპის კომბინირება გვეხმარება საწარმოს დაგეგმვისას გადაწყვეტილების მიღებაში.

თავი III. პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდები

3.1. ზოგადი დებულებები

პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდებში იგულისხმება საპროგნოზო, საგეგმო დავალებებისა და მაჩვენებლების ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშების (დასაბუთების) კონკრეტული გზები, ხერხები და წესები, მათი ურთიერთდაკავშირება და კოორდინაცია. საპროგნოზო და საგეგმო მაჩვენებლების განსაზღვრის ეს გზები, ხერხები და წესები გამოყენებული უნდა იქნეს პროგნოზირებისა და დაგეგმვის ყველა დონეზე ურთიერთ მჭიდრო კავშირში და მთლიანობაში.

მეთოდი წარმოადგენს მეცნიერულს თუ ის იყენებს სინამდვილის ობიექტურ კანონებს და დაფუძნებულია მოწინავე პრაქტიკის გამოყენების თანმიმდევრულ შესწავლასა და განზოგადებაზე. პროგნოზის აგება ხდება საწყის მონაცემებზე და მომავალზე წარმოდგენების საფუძველზე. მისი ხარისხი განისაზღვრება ინფორმაციის საიმედობითა და ფაქტორებისა და ტენდეციების მიმართულებით მოსალოდნელი ცვლილებების დასაბუთებულობით. საწყისი მონაცემები უნდა შეიცავდნენ დღევანდელი დღის პოზიციიდან გამომდინარე ნამდვილ ფაქტებსა და დასაბუთებებს. მომავალზე დასაბუთებული მოსაზრებები წარმოადგენს პროგნოზირების შედარებით რთულ სტადიას. ბაზრის პირობებში მოსაზრება არ არის ზუსტად განსაზღვრული და ერთაზროვანი, ვინაიდან პროგნოზის მომენტიდან (გადაწყვეტილების მიღებიდან) პროგნოზირებადი პერიოდის დასრულებამდე

იცვლება გარემო, ხდება ცვლილებები სხვადასხვა შესაძლო მიმართულებებით. მიუხედავად იმისა, რომ პროგნოზი საკმარისი სიზუსტით არ განსაზღვრავს განვითარების პარამეტრებს, იგი გვიხსნის ალტერნატიულ გზებს, გვიჩვენებს დადებით და უარყოფით ტენდეციებს, წინააღმდეგობებს და სახავს პირობებს, რომელთა გათვალისწინებით მიიღწევა დასახული ამოცანის გადაწყვეტა. პროგნოზს შეიძლება ჰქონდეს რამოდენიმე ვარიანტი, გამომდინარე სხვადასხვა ფაქტორების შესაძლო ზემოქმედების ალბათობიდან.

საბაზრო პირობებში ეკონომიკის განვითარებისათვის, მისი სწორი პროგნოზირებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს საშუალოვადიანი პროგრამები, რეგიონალური პროგრამები, მდგომარეობა შიდა და გარე ბაზარზე. საწყის წარმოადგენს სასაქონლო ბაზრების ანალიზი და საგადამხდელო მოთხოვნის განსაზღვრა. სასაქონლო ბაზრების მდგომარეობის ანალიზი ხდება რეალიზაციის მოცულობის მაჩვენებლების, მოთხოვნის ცვლილების, ექსპორტისა და იმპორტის, ფასების სტრუქტურის შიდა და გარე ბაზარზე, პირდაპირი მიწოდებების წილის და სხვათა მიხედვით.

მოთხოვნის ქვეშ იგულისხმება განსაზღვრული სახის საქონელზე მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფაც ხდება მყიდველის საკუთარი ან სასესხო გადასახადის საშუალებით. სასაქონლო ბაზრის მოთხოვნილებაზე გავლენას ახდენს შიდა და გარე მოთხოვნები, საბაზრო ვაჭრობის მექანიზმი, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია სამამულო პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, საწარმოების გადახდისუნარიანობა, სახელმწიფოს მიერ საქმიანი აქტიურობის რეგულირება.

ექსპორტის მოცულობები განისაზღვრება გარე ბაზრის კონიუქტურის გათვალისწინებით, პროდუქციის მწარმოებლების შიდა ფასების დინამიკით, სამამულო საქონელმწარმოებლების საბაჟო დაცვის მდგომარეობით.

მოთხოვნის პროგნოზირება ხორციელდება რამოდენიმე მეთოდით:

1. პოტენციური მყიდველების ამორჩევით-გამოკითხვა, მათ შორის დამოუკიდებელი ექსპერტების, სპეციალისტების დახმარებით. მოსახლეობის საქონელზე მოთხოვნილების განსაზღვრისათვის შედარებით მისაღებია გამოკითხვა მასიური მოხმარების საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პრინციპიალურად ახალ პროდუქციაზე. გამოკითხვა შეიცავს გამოსაკითხი კოეფიციენტის დადგენას, გამოკითხვის მეთოდის შერჩევას (წერილობითი, ტელეფონით, ინტერვიუ), ინფორმაციის დამუშავებას, გამოკითხვის შედეგების მიხედვით დასკვნის მომზადებას.

2. პირდაპირი ფუნქციონალური დამოკიდებულების განსაზღვრა, გამოიყენება მოთხოვნილების განსაზღვრისათვის გარკვეული სახის პროდუქციაზე, კოორელაციის კოეფიციენტის ფორმირებისათვის, პროდუქციის მოხმარების მყარი დინამიკის განსაზღვრისათვის, რომელიც წინ უძღვის საპროგნოზო პერიოდს.

ამ მეთოდების განხორციელებისათვის უნდა შეიქმნას საქონელზე და მომსახურებაზე მოთხოვნილების შემსწავლელი საინფორმაციო სისტემა, რომელმაც ინფორმაცია უნდა მიაწოდოს რეგიონალურ ცენტრს, რომელიც მას განაზოგადებს, მოახდენს მის კლასიფიკაციას და წარუდგენს ეროვნულ საინფორმაციო ცენტრს.

იმისათვის, რომ განვსაზღროთ ყველა შესაძლო ვარიანტი და შევაფასოთ მომავალში სიტუაცია მთლიანობაში,

გამოიყენება პროგნოზირებისა და დაგეგმვის შესაბამისი მეთოდები.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის კვლევის ფუძემდებლურ მეთოდად ითვლება დიალექტიკური მეთოდი. ამ მეთოდის ძირითადი დედაარსი მდგომარეობს იმაში, რომ იგი ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში მიმდინარე პროცესებს, მოვლენებს განიხილავს არა როგორც შემთხვევითს და განცალკევებულს, იზოლირებულს ერთმანეთისაგან, არამედ, როგორც კანონზომიერს და ურთიერთგანპირობებულს, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირსა და ორგანულ მთლიანობაში მთელი საზოგადოებრივი წარმოების მაშტაბით.

ეს მეთოდი აღნიშნულ პროცესებს და მოელენებს შეისწავლის არა უძრავ, სტატიკურ და უცვლელ მდგომარეობაში, არამედ დინამიკაში, მუდმივ მოძრაობასა და ცვლილებაში, განუწყვეტლივ განახლებასა და განვითარებაში. ამასთან იგი მოვლენებს ახსნის ძველი, ფარული, რაოდენობრივი მდგომარეობიდან აშკარა, ახალ თვისობრივ მდგომარეობაზე გადასვლის პროცესში, მარტივიდან რთულ, დაბლიდან უმაღლეს, ექსტენსიურიდან ინტესიურ ფორმაზე გადასვლის პროცესში, ძველის ახალთან წინააღმდეგობაში და ყოველთვის ახლის მიერ ამ წინააღმდეგობის დაძლევაში.

დიალექტიკის ამ მეთოდთან ერთად საპროგნოზო და საგეგმო გაანგარიშებისათვის მეცნიერება იყენებს სხვა აუცილებელ მეთოდებს. კერძოდ, საბალანსო, ექსპერტული შეფასების, ექსტრაპოლაციის, ნორმატიულს, ნორმატიულ-რესურსობრივს, პროგრამულ-მიზნობრივს, ეკონომიკური ანალიზის, ეკონომიკური მოდელირების, ეკონომიკურ – მათემატიკურსა და სხვა მეთოდებს, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ.

ზოგადად, მეცნიერება ეკონომიკური კვლევის პროცესში ორ ძირითად ხერხს იყენებს: 1. ინდუქცია, ამ დროს ერთგვარი ფაქტორები და შემთხვევები მიდიან ზოგადისაკენ, 2. დედუქცია, როცა საერთო, ზოგადი დებულებებისაგან, კანონებისაგან ავლენენ ნაკლებად ზოგადს, ამ დროს კვლევის მიმართულება პირიქითაა.

3.2. პროგნოზირებისა და დაგეგმვის ძირითადი მეთოდების მიმოხილვა

საბალანსო მეთოდი

საბალანსო მეთოდი წარმოადგენს პროგნოზირებისა და დაგეგმვის პრაქტიკულად ერთ-ერთ მთავარ და წამყვან მეთოდს. იგი უზრუნველყოფს ეკონომიკაში მთავარი პრობლემის გადაწყვეტას დაბალანსებასა და პროპორციულობას, აკავშირებს მოთხოვნილებებს რესურსებთან. ე.ი. პროგნოზით, გეგმით გათვალისწინებული ამოცანები და მოთხოვნები დაბალანსებული უნდა იყოს მათ შესასრულებლად საჭირო ყველა სახის მატერიალურ, ტექნიკურ, შრომით და ფინანსურ რესურსებთან.

ბალანსი წარმოადგენს მაჩვენებლების სისტემას, რომელშიც ერთი მხარე, რომელიც ახასიათებს რესურსებს მათი მოწოდების წყაროების მიხედვით, ტოლია მეორე ნაწილის, რომელიც გვიჩვენებს მათ განაწილებას, მათ ხარჯვას ყველა მიმართულებაზე.

მაშასადამე, საბალანსო მეთოდის არსი მდგომარეობს მოთხოვნილებებისა და მის დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსების ურთიერთშედარებასა, ურთიერთდაკავშირებასა და ურთიერთშეწონასწორებაში მთელი საზოგადოებრივი წარმოების მაშტაბით. საბალანსო მეთოდის დახ-

მარებით ხდება დისპროპორციების გამოაშკარავება, სახალხო-სამეურნეო პროპორციების რეგულირება, გეგმის მაჩვენებლებისა და განყოფილებებს შორის აუცილებელი თანაფარდობის დასაბუთება, ელინდება რეზერვები და მყარდება მაკროეკონომიკური წონასწორობა.

საბალანსო მეთოდი თავის ეკონომიკურ არსს გამოხატავს საბალანსო მოდელების სახით. მათი შემუშავება საშუალებას იძლევა დადგინდეს მატერიალურ-ნივთობრივი, შრომითი და ღირებულებითი პროპორციები, როგორც სამეურნეო დონეზე, ასევე კერძო ეკონომიკური ბალანსების დონეზე. პროგნოზირებისა და დაგეგმვის დროს ბალანსის შემუშავება ხდება, როგორც მაკრო დონეზე, ასევე საწარმოში. გამოიყენება ბალანსების მთელი სისტემა, რომელთაგან მნიშვნელოვანია მატერიალური, შრომითი და საფინანსო-ფულადი ბალანსები.

მატერიალური ბალანსები ემსახურებიან მატერიალურ-ნივთობრივი პროპორციების დადგენას საწარმოს, რეგიონის, ქვეყნის დონეზე. ასეთი ბალანსები ჩვეულებრივ შემუშავდებიან ნატურალურ ერთეულთა განზომილებაში ან პირობით-ნატურალურ გაანგარიშებით. მატერიალური ბალანსები დგება უმნიშვნელოვანესი სახის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. მაგალითად, მრეწველობის დარგებიდან ფოლადის, თუჯის, ხე-ტყის, ელექტროენერგიის, ტრაქტორების, ავტომანქანების და სხვა. სოფლის მეურნეობის დარგებიდან მარცვლეულის, ხორცის, რძის, მიწის რესურსების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბალანსი, სახნავი მიწების, სასუქების, შხამქიმიკატების, საკვების ბალანსი და ა.შ.

ყველა მატერიალური ბალანსი, როგორც სხვა ბალანსების უდიდესი ნაწილი შედგება ორი ნაწილისაგან მარცხენა და მარჯვენა მხარისაგან. მარცხენა მხარეს

მოცემულია რესურსები, მათი მიწოდების წყაროები, მარჯვენა მხარეს კი რესურსების მოთხოვნილება, ანუ რესურსების განაწილება.

პრაქტიკულად არსებობს რესურსების შექმნისა და ჩამოყალიბების ხუთი წყარო: პროგნოზირების დასაწყისში არსებული ნაშთი, ახალი წარმოება, იმპორტი, სახელმწიფო რეზერვი და დანარჩენი შემოსავალი. რესურსების განაწილებაში, ანუ რესურსების მოთხოვნილებაში შედის ექვსი მაჩვენებელი: საწარმოო-საექსპლუატაციო საჭიროება, კაპიტალური მშენებლობის საჭიროება, ექსპორტი, საბაზრო ფონდი ანუ მოსახლეობაზე რეალიზაცია, სახელმწიფო რეზერვების შევსება და ნაშთი საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის.

მატერიალური ბალანსების სქემას აქვს შემდეგი სახე.

მატერიალური ბალანსების სქემა

რესურსები (წყაროები)	განაწილება (მოთხოვნილება)
ნაშთი საპროგნოზო, საგეგმო პერიოდის დასაწყისისათვის ახალი წარმოება იმპორტი სახელმწიფო რეზერვი სხვა მიწოდებები, შემოსავალი	საწარმოო-საექსპლუატაციო საჭიროება კაპიტალური მშენებლობის საჭიროება ექსპორტი საბაზრო ფონდი სახელმწიფო რეზერვების შევსება ნაშთი საპროგნოზო, საგეგმო პერიოდის დასასრულისათვის
სულ	სულ

რესურსების პოტენციალის ცვლილებების პროგნოზირებას თან უნდა ახლდეს: ა) საშუალებების წყაროების ცვლილების პროგნოზირების აუცილებლობა, ბ) მათი თანაფარდობის შესაძლო ცვლილებები.

მატერიალური ბალანსების შედგენისას თუ გამოვლინდა, რომ რესურსები ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მაშინ უპირველეს ყოვლისა უნდა გამოინახოს ამ რესურსების გადიდების დამატებითი საშუალებანი—წყაროები. კერძოდ, ამცირებენ მოხმარების ნორმებს, იყენებენ ამა თუ იმ რესურსის შემცველ ელებს (საბოლოო პროდუქციის ხარისხის გაუარესების გარეშე), ადიდებენ იმპორტს და სხვა.

თუ ეს წყაროები მთლიანად ამოიწურება და გადიდებულმა რესურსებმაც ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება, მაშინ უნდა შემცირდეს ეს უკანასკნელი გადიდებული რესურსების დონემდე, მაგრამ იგი არ უნდა შეუმცირდეს ეროვნული მეურნეობის წამყვან, მთავარ და საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ დარგებს (ჯამრთელობის დაცვას, თავდაცვას და ა.შ.). იმ შემთხვევაში კი, თუ რესურსებმა გადააჭარბა მოთხოვნილებებს, მაშინ შესაძლოა გაიზარდოს რეზერვები, საექსპორტო მიწოდებები, წარმოების მოცულობები მომხმარებელ დარგებში.

საბალანსო სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომითი რესურსების ბალანსებს, რომლებიც დგება პროგნოზირების ყველა დონეზე, როგორც ტერიტორიალურ, ისე დარგობრივ ჭრილში. შრომითი რესურსების ბალანსების დამუშავების დროს ამოსავალი დებულებაა შრომითი მოსახლეობის სრული და რაციონალური დასაქმება, მათი შრომის მაღალეფექტური გამოყენება და ცალკეული დარგების აუცილებელი დაკმაყოფილება სამუშაო ძალაზე. კარგად შედგენილი შრომითი

ბალანსები საშუალებას იძლევა დავადგინოთ ქვეყნის მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე და მისი დაკმაყოფილების დონე, მოთხოვნილება კვალიფიციურ კადრებზე და მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა და სხვა.

შრომით რესურსებზე მოთხოვნილება მაგალითად, სოფლის მეურნეობაში ხდება ტექნოლოგიური რუკებიდან გამომდინარე. ტექნოლოგიური რუკა წარმოადგენს ცხრილს, ტაბულას, რომლის მარცხენა მხარეს ქვემდებარეში ჩამოთვლილი იქნება ყველა სახის შესასრულებელი სამუშაო. ტექნოლოგიური რუკის, მარჯვენა მხარეს ანუ შემასმენელში – პირველ გრაფაში ჩაიწერება სამუშაოს მოცულობა, მეორე გრაფაში აგროტექნიკური ვადები ანუ სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების ვადები, მესამე გრაფაში მოცემული იქნება გამომუშავების ნორმა და სხვა მაჩვენებლები. სამუშაოს მოცულობა გაიყოფა გამომუშავების ნორმაზე და მივიღებთ შრომით რესურსებზე მოთხოვნილებას კაც-დღეებში. ამ ტექნოლოგიური რუკიდან დადგინდება თითოეული სახის სამუშაოზე და მთლიანად დარგში ან კულტურაში რამდენი კაც-დღე იქნება საჭირო ცალკეული დეკადების, თვეების, კვარტლების და წლის მიხედვით. შრომითი ბალანსის მეორე მხარეს–მარჯვენა მხარეს მოცემული იქნება მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. ამისათვის საჭიროა ჯერ დავადგინოთ შრომითი რესურსების რაოდენობა. პირობითი შრომის უნარიანების გასაანგარიშებლად შრომის უნარიან მამაკაცებისა და ქალების რიცხვს უნდა დაემატოს დანარჩენი კატეგორიის მომუშავე მუშაკების ერთი მესამედი და მივიღებთ პირობით შრომის უნარიანებს. ეს პირობითი შრომის უნარიანები გამრავლდება ცალკეულ თვეებში არსებულ სამუშაო დღეთა რიცხვზე და მივიღებთ დაკმაყოფილების

შესაძლებლობას კაც-დღეებში. საბოლოოდ შრომის ბალანსის მარცხენა მხარეს მოცემული იქნება თვეების მიხედვით და სულ წლის განმავლობაში მოთხოვნილება მუშახელზე, მარჯვენა მხარეს კი მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა ასევე ცალკეული თვეებისა და მთლიანად წლის განმავლობაში.

საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში ფერმერებს მიაჩნიათ, რომ ფერმერული მეურნეობის ეფექტიანად ორგანიზაციისა და გაძღოლისათვის აუცილებელია შრომითი რესურსების სწორად დაგეგმვა (პროგნოზირება), რისთვისაც ყველა ფერმერმა უნდა განსაზღვროს იმ სამუშაოების მოცულობა, რომელიც მან უნდა შეასრულოს და შემდეგ დაადგინოს საჭიროა თუ არა მუშახელის დაქირავება. აღნიშნული საკითხების ილუსტრაციისათვის ადგენენ სამუშაოს გრაფიკს, რომელიც გვიჩვენებს მოთხოვნილებას შრომით რესურსებზე წლის დროისა და პერიოდების მიხედვით. ასევე გვიჩვენებს იმასაც, თუ როდის ვერ ფარავს ფერმერის შრომა მიელ მოთხოვნილებას. ასეთი გრაფიკების შედგენა აუცილებელია, როგორც შრომითი რესურსების, ისე კაპიტალის დაგეგმვისა და გაძღოლისათვის. გრაფიკის გამოყენება აადვილებს კოორდინაციას, აუმჯობესებს ინფორმაციას და ცალკეული სამუშაოების შესრულებას. ცელის რა გრაფიკს სხვადასხვა სახის შრომის კომბინაციებისათვის, მართველს (ფერმერს) შეუძლია შეისწავლოს შრომითი რესურსების შემცირების შესაძლებლობა ან გაანაწილოს ისინი შედარებით უფრო თანაბრად წლის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულის გასაანალიზებლად განვიხილოდ კონკრეტული მაგალითები. დავუშვათ, რომ ფერმერის საკუთარი პოტენციალი თვეში შეადგენს 250 საათს, ანუ 25 დღეს 10 საათიანი სამუშაო დღით, რაც პირველ ნახაზზე

მოყვანილ გრაფიკზე მოცემულია სწორი ხაზით. ნახაზზე ნაჩვენებია სიტუაცია ფერმაში ზომით 65 ჰექტარი. აღნიშნულ შემთხვევაში ხელმძღვანელის დასაქმება წელიწადში შეადგენს 4-6 თვეს მთლიანად. თუ ფერმერს არ სურს იმუშაოს 10 საათის მეტი დღეში, მაშინ აგვისტოში მან უნდა დაიქირავოს დამატებითი სამუშაო ძალა, თუ მას ეს არ აწყობს, მაშინ მან უნდა შეცვალოს სამუშაოების სახეების კომბინაციები. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ შესაძლებელია სამუშაოების მოცულობის გაზრდა ზამთრის პერიოდში. მაგალითად, მეცხოველეობაში. კერძოდ, შეიძლება შეისყიდოს ხბორები ოქტომბერში და გაყიდოს მარტში ან აპრილში, ვინაიდან ფერმა აწარმოებს ხორბალს და საკვებს. სამუშაოების ეს სახეები შეავსებენ ერთმანეთს და არ შეამცირებს წარმოების დონეს.

მე-2-ე ნახაზზე ნაჩვენებია გრაფიკი ფერმისათვის ზომით 97 ჰექტარი. ამ ფერმისათვის კი დაქირავებული შრომა უკვე აუცილებელია. თუ აუცილებელ სამუშაო საათებს, რომელიც საჭიროა მაისში, ივნისში, ივლისში და აგვისტოში გამოვაკლებთ 250 საათს, რომლის პოტენციალიც გააჩნია ფერმერს, მაშინ შრომით რესურსებზე დამატებითი მოთხოვნილება შეადგენს შესაბამისად, მაისში 105 კაც-საათს, ივნისში 113, ივლისში 205 და აგვისტოში 183 კაც-საათს.



ნახ. 1. ცოცხალი შრომის მოთხოვნილება ფერმაში, ფართობით 65 ჰა.



ნახ. 2. ცოცხალი შრომის მოთხოვნილება ფერმაში, ფართობით 97 ჰა.

წლის დრო	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო
საჭიროა დაქირავებული შრომა	105	113	205	183

ფერმერს შეუძლია დაიქირაოს მუშაკი მთელი დღის განმავლობაში ამ თვეებში. მე-2 ნახაზზე მოყვანილ გრაფიკზე ნათლად ჩანს, რომ ფერმერს ასეთი მუშაკისათვის ზამთრის თვეებში სამუშაო არ გააჩნია. ამის მიუხედავად შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სამუშაოები—ინვენტარის შენახვასა და რემონტზე. თუ ფერმერი აპირებს გაზარდოს თავისი საქმიანობის მოცულობა, მაშინ ნათესი ფართობების გაზრდა უნდა მოხდეს მეცხოველეობის მოცულობის გაზრდასთან ერთად ზამთრის თვეებში. ამ შემთხვევაში ფერმერს დაქირავებული მუშაკი დასჭირდება უკვე მთელი წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა აუცილებელია გათვლილი იქნეს ასეთი ვარიანტის მომგებიანობა.

მაშასადამე, როდესაც ვადგენთ სამუშაოების კალენდარს გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნებრივი პირობები, ფერმის ზომები, ვინაიდან ყოველი საქმიანობა ისე უნდა იქნეს განაწილებული, რომ დაქირავებული მუშახელი არ ხარჯავდეს დიდ დროს ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასელისათვის.

ფერმერმა წინასწარ უნდა განსაზღვროს დაფარული იქნება თუ არა ის დანახარჯები, რომელიც გაწეული იქნება ახალი მუშის დაქირავებაზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზეგანაკვეთური მუშაობა და დაქირავებული სამუშაო ძალა არ აძლევს ფერმერს საშუალებას დაფაროს მოთხოვნილება სამუშაო ძალაზე,

მას შეუძლია მიმართოს შემდეგ დამატებით ღონისძიებებს:

- დადოს საიჯარო ხელშეკრულება გარკვეული სამუშაოს შესრულებისათვის;
- შეიძინოს დამატებითი ტექნიკა სამუშაოს დაჩქარებისათვის;
- დაარეგულიროს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებების ურთიერთდამოკიდებულება, უნდა შეცვალოს დათესვლა-დაგრილების დრო, რათა შეცვალოს დოლის დრო; ცვალოს მარცვლეული კულტურების ჯიშები, რათა შეცვალოს აგროტექნიკური სამუშაოების დრო და ასევე შესაძლებელია სხვა კორექტივების შეტანა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში;
- განიხილოს სხვა ფერმებთან შრომის განაწილების საკითხი.

ფერმერულ მეურნეობებში შრომითი რესურსების დაგეგმვის საკითხები კარგად აქვთ გაშუქებული თავიანთ შრომებში ამერიკელ მეცნიერებს: ე.კასლს, გ.ბეკერს, ა.ნელსონს და გ.ბაკეტს.

ბალანსების სისტემაში დამამთავრებელ ეტაპად ითვლება საფინანსო-ფულადი (ღირებულებითი) ბალანსების შედგენა, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სასაქონლო-ფულად ურთიერთობასთან და ამით ღირებულების კანონის მოქმედებასთან. ღირებულებით ბალანსებში ყველა ეკონომიკური სიდიდეები გამოხატულნი არიან ღირებულებით (ფულად) ფორმაში, რაც არსებითად აადვილებს სხვადასხვა სახის რესურსების შედარებას. ისინი გამოიყენება, დაწყებული საწარმოს ფინანსური გეგმის შედგენიდან და საწარმოს გეგმების ეკო-

ნომიკური შეფასებიდან, დამთავრებული სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენით.

სწორედ შედგენილი საფინანსო-ფულადი ბალანსები ნათლად ახასიათებენ სახელმწიფოს ფულად შემოსავალსა და გასავალს, საწარმოს ფულად შემოსავალსა და გასავალს, მოსახლეობის ფულად შემოსავალსა და გასავალს, ბანკის საკრედიტო რესურსებს და მათ განაწილებას, ბანკის სალაროში ნაღდი ფულის შემოსავალს და გასავალს, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს წყაროების მიხედვით და მის ხარჯვას.

პროგნოზირებასა და დაგეგმვაში ასევე შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული ნატურალურ-ღირებულებითი ბალანსები. ისინი გამოიყენებიან როგორც ცალკე საწარმოს დონეზე, ასევე მთლიანად ქვეყნის დონეზე. ამ შემთხვევაში გაანგარიშებები ხორციელდება პარალელურად როგორც ნატურალურ ისე ღირებულებით გამოსახულებაში.

ბალანსები ასევე შეიძლება იყოს დიფერენცირებული:

- პროდუქციის დანიშნულებისა და გამოყენების მიხედვით: წარმოების საშუალებებისა და მოხმარების საგნების ბალანსები;
- მოქმედების პერიოდის მიხედვით: ოპერატიული, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი;
- გაზომვის ერთეულის მიხედვით: ერთპროდუქტიული და დარგთაშორისი.

ბალანსები ფართოდ გამოიყენება ოპერატიული, წლიური, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროგნოზებისა და გეგმების შემუშავების დროს. მოკლევადიანი დაგეგმვის ცალკეული ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოიყენება სტატისტიკური ბალანსები. მათ ადგენენ დროის მოკლე პერიოდისათვის (წელზე). ისინი იძლევიან ზოგად

წარმოდგენას ეკონომიკური მოვლენების დინამიკის შესახებ. ამიტომ მიზანშეწონილია დინამიური ბალანსების მოდელების შედგენა რამოდენიმე წელზე წინასწარ, რაც საშუალებას მოგვცემს ობიექტურად მივუდგეთ არა მხოლოდ საწარმოს რეზერვებს, არამედ იმ შესაძლო ალბათურ ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომელიც შესაძლოა მომავალში ჩამოყალიბდეს.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი ბალანსების ამოცანაა ეროვნული მეურნეობის მოთხოვნილებათა სრული შესატყვისობა, შესაბამისობა რესურსებთან. თითოეული ეს ბალანსი საშუალებას იძლევა დავადგინოთ ესა თუ ის ცალკე აღებული კონკრეტული პროპორცია. მაგრამ მთელი ეროვნული მეურნეობის მეცნიერული პროგნოზირებისა და დაგეგმვისათვის საჭიროა ყველა მრავალმხრივი პროპორციებისა და შეთანხმებულობის განზოგადებული გამოსახვა საზოგადოებრივი წარმოების ერთიან მაშტაბში. ეს კი შესაძლებელია ეროვნული მეურნეობის ერთიანი საპროგნოზო ბალანსის დამუშავებით, რომელიც განზოგადებულ, გამსხვილებულ მაჩვენებლებში ასახავს მთელი საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ყველა მხარეს, ყველა სტადიას და მათ ურთიერთდაკავშირებას.

ეროვნული მეურნეობის ერთიანი საპროგნოზო ბალანსი წარმოადგენს ტაბულების (ცხრილების) სისტემას, თავისი განზოგადებული ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური მაჩვენებლებით, რომელიც გამოხატავს (ახასიათებს) ეკონომიკის განვითარების დონეს, ტემპებს და მაშტაბებს, ძირითად პროპორციებს ეროვნული მეურნეობის საპროგნოზო პერიოდში.

თავისი მრავალმხრივი ურთიერთკავშირისა და რთული ხასიათის გამო ეროვნული მეურნეობის ერთიანი საპროგნოზო ბალანსი რამდენიმე ნაწილად იყოფა, ესენია:

1. მთლიანი (ერთობლივი) შიდა პროდუქტის წარმოებისა და განაწილების ბალანსი;
2. ეროვნული შემოსავლის სახეების ბალანსი;
3. პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი;
4. შრომითი რესურსების ბალანსი და ა.შ.

მთლიანი (ერთობლივი) შიდა პროდუქტი (მშპ) არის მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს განსაზღვრული დროის მანძილზე—წელიწადში ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ერთობლივ საბაზრო ღირებულებას.

მშპ საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის საუკეთესო მაჩვენებლად ითვლება. მშპ-ის სტაბილური ზრდისას ქვეყნისათვის არ არის საშიში არც ბიუჯეტის დეფიციტი და არც სახელმწიფო ვალი. თუ არ ხდება ზრდა, მაშინ ეკონომიკა განიცდის დეგრადაციას და საშიშია სახელმწიფო ვალიც, ვინაიდან მისი დაბრუნების რესურსები არ არსებობს.

მშპ ერთდროულად ორ სიდიდეს ზომავს: ეკონომიკის ყველა წევრის მიერ მიღებულ მთლიან შემოსავალსა და ეკონომიკის საქონელსა და მომსახურებაზე გაღებულ მთლიან ხარჯებს.

მშპ-ის ასეთი მოხერხებულობის მიზეზი ისაა, რომ მთლიანი შემოსავალი და მთლიანი ხარჯები სინამდვილეში ერთი და იგივე სიდიდეა. მთლიანი ეკონომიკისათვის, შემოსავალი ხარჯების ტოლი უნდა იყოს. ამრიგად, ეკონომიკის შემოსავალი იგივეა, რაც ეკონომიკის ხარჯები. ე. ი. თითოეულ ქმედებას ორი მხარე

აქვსმყიდველი და გამყიდველი. რომელიმე მყიდველის მიერ დახარჯული ლარი, რომელიმე გამყიდველის შემოსავლის ერთი ლარია. მაგალითად, დავუშვათ, რომ გიორგი თორნიკეს ხილის კრეფაში უხდის 50 ლარს, ამ შემთხვევაში თორნიკე მომსახურების გამყიდველია, გიორგი კი მყიდველი. ამ ურთიერთქმედების წვლილი ეკონომიკის შემოსავალსა და ხარჯებში თანაბარია, მშპ, მთლიანი შემოსავალითაა გამოხატული, თუ მთლიანი ხარჯები 50 ლარით იზრდება.

მშპ-ის შექმნაში მონაწილეობენ შემდეგი დარგები: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, კავშირგაბმულობა და მატერიალური წარმოების ყველა სხვა დარგი, არამატერიალური წარმოება, წმინდა გადასახადები პროდუქტებზე და იმპორტზე.

მთლიანი შიდა პროდუქტის ბალანს ისე, როგორც ყველა სხვა ბალანს აქვს ორი მხარე. მარცხენა მხარეს მოცემულია ამ პროდუქციის მთელი რესურსები, მარჯვენა მხარეს კი მისი განაწილება.

რესურსებში–მარცხენა მხარეს შედის ადგილზე საკუთარი წარმოება, იმპორტი და ყველა სხვა სახის ფულადი შემოსავლები. განაწილება–მარჯვენა მხარეს მოცემულია შემდეგი მუხლები: ფულადი დანახარჯების დაფარვა (ხელფასის გარდა), მოხმარების ფონდი ანუ ხელფასი, დაგროვების ფონდი, ექსპორტი, რეზერვი და სხვა გასავალი (დანაკარგები და სხვა).

მშპ-ის ბალანსების სქემა

რესურსები	განაწილება
1. ადგილზე საკუთარი წარმოება 2. იმპორტი 3. ყველა სხვა სახის ფულადი შემოსავლები	1. გაწეული დანახარჯების დაფარვა (ხელფასის გარდა) 2. მოხმარების ფონდი ანუ ხელფასი 3. დაგროვების ფონდი 4. ექსპორტი 5. რეზერვი და სხვა გასავალი (დანაკარგები და სხვა)

ეროვნული შემოსავლის სახეებია: მთლიანი ეროვნული შემოსავალი ანუ მთლიანი ეროვნული პროდუქტი, წმინდა ეროვნული შემოსავალი ანუ წმინდა ეროვნული პროდუქტი და ქვეყნის განკარგულებაში დარჩენილი შემოსავალი.

მთლიან შიდა პროდუქტს თუ გამოვაკლებთ საკუთრებიდან შემოსავალს მიღებულს საზღვარგარეთიდან და დავამატებთ საკუთრებიდან შემოსავალს გაცემულს საზღვარგარეთ მივიღებთ მთლიან ეროვნულ შემოსავალს (მთლიანი ეროვნული პროდუქტი).

მთლიან ეროვნულ შემოსავალს თუ გამოვაკლებთ ძირითადი ფონდების მოხმარებას დარჩება წმინდა ეროვნული შემოსავალი (წმინდა ეროვნული პროდუქტი).

წმინდა ეროვნულ შემოსავალს დამატებული მიმდინარე ტრანსფერტები მიღებული საზღვარგარეთიდან და გამოკლებული მიმდინარე ტრანსფერტები გაცემული საზღვარგარეთ მიიღება ქვეყნის განკარგულებაში დარჩენილი ეროვნული შემოსავალი.

ეროვნული მეურნეობის ერთიანი საპროგნოზო ბალანსის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორისი ბალანსი. იგი არის მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის გაშლილი სქემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ეროვნული მეურნეობის პროპორციების დეტალიზაცია დარგობრივ და დარგთშორის განაჭერში.

აღნიშნული ბალანსის ქვემდებარეში ჩამოთვლილია პროდუქციის მწარმოებელი დარგები (ანუ პროდუქციის რესურსები), ხოლო შემასმენელში მოცემულია პროდუქციის მომხმარებელი დარგები (ანუ პროდუქციის განაწილება).

პროდუქციის წარმოებისა და განაწილების დარგთაშორის ბალანსში მთლიანი შიდა პროდუქტი ორ ნაწილად იყოფა: შუალედური პროდუქტი და საბოლოო პროდუქტი. შუალედური პროდუქტია მთლიანი შიდა პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება ამ პროდუქტის მწარმოებელ დარგებში მომავალი წარმოების გასაახლებლად და გასაფართოებლად. საბოლოო პროდუქტი კი არის მთლიანი შიდა პროდუქტის ის ნაწილი, რომელიც გადადის საზოგადოებრივი წარმოების სხვა სფეროში, იგი გამოიყენება პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

დარგთშორისი ბალანსი წარმოადგენს ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელს, რომელიც წარმოგვიდგება ცხრილის სტრიქონებისა და სვეტების ჯვარედინი დადებით, ე.ი. პროდუქციის განაწილებისა და მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების ბალანსები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან შედეგებით (შახმატური ბალანსი). აქ ძირითადი მაჩვენებლებია–მთლიანი და პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტები.

დარგთშორისი ბალანსი მეცნიერებასა და პრაქტიკაში ცნობილია, როგორც მეთოდი- „დანახარჯები-გამოშვება", რომელიც შეიმუშავა ვ. ლეონტიევმა (აშშ), მეთოდი მიეკუთვნება ეკონომიკურ მეცნიერებათა განყოფილებას, რომელსაც ეწოდება საყოველთაო წონასწორობითი თეორია და ეკონომიკურ ურთიერთობებს გამოსახავს განტოლებათა სისტემით.

მეთოდი „დანახარჯები-გამოშვება" დადის წრფივ განტოლებათა სისტემის ამოხსნაზე, სადაც პარამეტრები წარმოადგენენ პროდიქციის წარმოებაზე გაწეული დანახარჯების კოეფიციენტებს. კოეფიციენტები გამოხატავენ დამოკიდებულებებს ეკონომიკის სექტორებს შორის (მიმდინარე მატერიალური დანახარჯების კოეფიციენტები), ისინი არიან მდგრადნი და ექვემდებარებიან პროგნოზირებას. განტოლებათა სისტემის ამოხსნა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ როგორი უნდა იყოს ყოველ დარგში პროდუქციის გამოშვება და მასზე გაწეული დანახარჯები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოცულობით და სტრუქტურით მოცემული საბოლოო პროდუქციის წარმოება. ამისათვის ადგენენ დარგთაშორისი პროდუქციის ნაკადების ცხრილს. განტოლებებში უცნობებად გვევლინებიან პროდუქციის გამოშვება და მასზე გაწეულ ყოველ დარგში საწარმოო და გამოყენებული დანახარჯები. მათი გამოთვლა კოეფიციენტების დახმარებით ნიშნავს წარმოების მოცულობებს, რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაო წონასწორებას. დისპროპორციის აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებელთა შეკვეთების გათვალისწინებით, დგება ყველა სახის პროდუქციის წარმოებისა და მათ წარმოებაზე გაწეული დანახარჯების გეგმა–მატრიცა.

მეთოდი „დანახარჯები—გამოშვება"გახდა პროგნოზირებისა და დაგეგმვის უნიეერსალური ხერხი. იგი გამოიყენება გაეროს სისტემაში, აშშ-ში და სხვა ქეეყნებში ეკონომიკის, წარმოების სტრუქტურის, დარგთშორისი ურთიერთობების პროგნოზირებასა და დაგეგმეაში.

სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ბალანსების სისტემიდან მთავარია: მიწის რესურსებისა და სასოფლოსამეურნეო სავარგულების ბალანსი, სახნავის, ნათესი ფართობებისა და მრავალწლიანი ნარგაეების, მინერალური და ორგანული სასუქების, სამექანიზაციო საშუალებების, ენერგეტიკული სიმძლავრეების, თესლის, საკვების სახეებისა და ტიპების მიხედვით, შრომითი რესურსების, ძირითადი ფონდების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის ძირითადი სასურსათო პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ბალანსი და სხვა.

მიწის რესურსების ბალანსი უნდა მოიცაედეს არა მარტო ცალკეულ რეგიონებზე, რაიონებზე, სოფლებზე, მეურნეობის ორგანიზაციულ ფორმებზე უვადო, მუდმივ სარგებლობაში გადაცემულ მიწებს, არამედ მათზე მოკლევადიანი და შედარებით ხანგრძლივი პერიოდით დროებით სარგებლობაში გადაცემულ მიწებსაც.

მიწის რესურსების ბალანსი მოიცავს აგრეთვე განმეორებით ნათესებს და თანამდევ გამოყენებაში ჩართულ მიწის ფართობებს, რომლებიც დამატებით მოსავალს იძლევიან. განმეორებით ნათესებში შედის: I. ძირითადი განმეორებითი ნათესები, რომლებიც ძირითადი კულტურის აღების შემდეგ დაითესება, იმავე წელს აიღება და მოგვცემს სრული სიმწიფის მეორე მოსავალს, II. შუალედური კულტურების ნათესები, საიდანაც: I. სანაწვერალო კულტურების ნათესები დაითესება ხორბლეულის აღების თანავე და იმავე წელს მოგვცემს სასილოსე მა-

სას; 2. გასაძოვებელი ან გასათიბი ნათესები, რომლებიც საკვები კულტურების აღების შემდეგ ითესება და იმავე წელსვე გაიძოვება ან გაითიბება მწვანე საკვებად; 3. საფარქვეშ ნათესები, რომლებიც ითესება მარცვლეულის საფარქვეშ მრავალწლიანი ბალახების სახით; 4. შემოდგომის შუალედური ნათესები, ეს არის შემოდგომაზე ცარიელ მიწაზე დათესილი კულტურები, რომლებიც აიღება გაზაფხულზე ძირითადი კულტურის დათესვამდე; 5. ადრე საგაზაფხულო ნათესი, რომელიც აგრეთვე გაზაფხულზე აიღება ძირითადი კულტურის დათესვამდე. III. მრავალწლიანი ნარგავების რიგთაშორისებში გამოყენებული ფართობები—სათესად.

მიწის რესურსების ბალანსში ერთ-ერთი მთავარია სახნავი მიწების ბალანსი. სახნავ მიწებში შედის ნათესი ფართობები და ანეული. არჩევენ: შავ ანეულს, რომელიც მოიხვნება შემოდგომით; ნათეს ანეულს ანუ სიდერატებიან ანეულს, რომელიც ჩაიხვნება გაზაფხულზე და სუფთა ანეულს, რომელიც მოიხვნება გაზაფხულზე და დარჩება დაუთესავი მთელი წლის განმავლობაში. სახნავი მიწები წარმოადგენს ყველაზე მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს, რადგან მასზე ყველა კულტურის მოვლა-მოყვანა არის შესაძლებელი.

სახნავის შემდეგ მნიშვნელოვანია ნათესი ფართობების ბალანსი, რომელშიც შედის ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესები. ნათესი ფართობების ბალანსი სახნავი მიწების ბალანსის ნაწილია. ამასთან ნათესი ფართობების ბალანსი შეიძლება დაემთხვეს სახნავი მიწების ბალანსს, თუ სუფთა ანეული არ იქნება დატოვებული.

მიწის რესურსების, სახნავი მიწებისა და ნათესი ფართობების ბალანსის მთავარი მაჩვენებლებია: მათი რაოდე-

ნობა საპროგნოზო პერიოდის დასაწყისისათვის, მომატება წყაროების ჩვენებით, მოკლება მიზეზების დასაბუთებით და საერთო რაოდენობა საპროგნოზო პერიოდის ბოლოსათვის, რაც ობიექტურ და რეალურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული.

მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების ბალანსის შედგენის დროს მოთხოვნილება გაიანგარიშება დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით, რაც უნდა დაზუსტდეს წინასწარ შედგენილი და სისტემატიურად განახლებული აგროქიმიური კარტოგრამების საფუძველზე.

ექსტრაპოლაციის მეთოდი

ეკონომიკური საქმიანობის პროცესში გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს პროგნოზირების მეთოდები, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ექსტრაპოლაციის მეთოდს. აღნიშნულმა მეთოდმა ფართო გავრცელება ჰპოვა პრაქტიკაში, ამ მითოდის განხილვისას ვეყრდნობოდით უცხოეთის ავტორების, კერძოდ ინგლისელი მეცნიერების რ. ტომასის და კ. დავიდსონის, ამერიკელი მეცნიერის რ. ბრაუნის, რუსი მეცნიერების კ.პ. ლიჩკოს, ტ.გ. მოროზოვას, ვ.ა. გორემიკინისა და სხვათა ნაშრომებს. მათი არსი მდგომარეობს დროში გამოსაკვლევი ობიექტის ცვლილების ანალიზში და გამოვლენილი კანონზომიერებების გავრცელებაზე მომავალში. ექსტრაპოლაციის მეთოდი გამოიყენება სისტემის სტაბილურობის, მოვლენის მდგრადობის დროს, როცა პროცესებისა და მაჩვენებლების დინამიკა პერსპექტივაში განისაზღვრება წარსულ პერიოდში მათი ცვლილებების ტენდეციებით. ამ დროს იგულისხმება, რომ განვითარება

მიმდინარეობს განუწყვეტლივ, მდორედ, წარსულის ძალებს შეუძლიათ გააკონტროლონ მომავალი. ხოლო უნარი შეადგინონ მომავალი მაჩვენებლების საიმედო შეფასება, მაგალითად საქონელზე მოთხოვნილების, მასალების ღირებულების, საწარმოო თვითღირებულების და სამუშაო ძალის დანახარჯების, მრავალი საწარმოსათვის უზრუნველყოფს უპირატესობას კონკურენციულ ბრძოლაში.

ექსტრაპოლაციის მეთოდის საფუძველს წარმოადგენს დროითი რიგების შესწავლა. დროითი რიგი ეს არის დაკვირვებების სიმრავლე მიღებული თანამიმდევრულად დროში. მაშასადამე, მნიშვნელობათა რიგს, აღებულს დროითი პერიოდის განმავლობაში, უწოდებენ დროით რიგს. დროითი რიგი შეიცავს ცვალებად, დროში განსაზღვრულ მაჩვენებლებს და მახასიათებლებს. შედეგი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაშია აგებული რიგი, რამდენი წელი ხორციელდებოდა დაკვირვება. იმისათვის, რომ შევაფასოთ ასეთი რიგების ქცევა, მიზანშეწონილია, დავყოთ ეს მნიშვნელობები, რამოდენიმე შემადგენლად. მთლიანობაში დროითი რიგის მნიშვნელობა შეიძლება შედგებოდეს შემდეგი შემადგენლებისაგან: ტრენდისაგან, ციკლური, სეზონური და შემთხვევითი რხევებისაგან.

ტრენდი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც განსაზღვრული მნიშვნელობების საერთო მიმართულებების ცვლილება, რომელიც აღებულია დროის ხანგრძლივ მონაკვეთზე. მნიშვნელობების რიგის ტრენდის გარდა ნათელია ციკლური შემადგენლის არსებობა. იგი გვიჩვენებს ტრენდის წრფის მიმართ რხევებს ერთ წელზე მეტი პერიოდისათვის. ფინანსური და ეკონომიკური მაჩვენებლების რხევების ციკლურობა, ხშირად შეესაბამება

საქმიანი აქტივების ციკლებს, როგორებიცაა: მკვეთრი ვარდნა, გამოცოცხლება, მკვეთრი ზრდა და უძრაობა. მნიშვნელობათა რიგის უმრავლესობა გვიჩვენებს რხევების პერიოდულობას ერთი წლის ან მეტის განმავლობაში, ეს რხევები წარმოადგენს სეზონურ რხევებს, მათი გამოყოფა შესაძლებელია ტრენდისა და ციკლური რხევების ანალიზის შედეგად. და, ბოლოს დროითი რიგის კიდევ ერთ შემადგენელს წარმოადგენს შემთხვევითი რხევები, რომელთა განსაზღვრა, როგორც წესი წინასწარ შეუძლებელია, მაგრამ ამის მიუხედავად ასეთი მნიშვნელობების გათვალისწინება მიზანშეწონილია პროგნოზირების მიღებული მოდელის ალბათური სიზუსტის განსაზღვრის დროს.

პროგნოზირების ექსტრაპოლაციის მეთოდი კარგად გამოიყენებიან პრაქტიკაში, განსაკუთრებით საშუალოვადიანი პროგნოზირებისას. ამ მეთოდის გამოყენებისას ვარაუდობენ, რომ მაჩვენებლების ცვლილების მიმდინარე პერიოდი შესაძლებელია დახასიათებულ იქნეს მდორე ტრაექტორიით-ტრენდით; მიმდინარე პერიოდში ძირითადი პირობების განმსაზღვრელი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, არ განიცდიან მნიშვნელოვან ცვლილებებს მომავალში. ე.ი. მომავალში ისინი შეიცვლებიან იგივე კანონებით, როგორც წარსულში და აწმყოში; მაჩვენებლების ფაქტიური მნიშვნელობების გადახრა ტრენდის წრფიდან ატარებს შემთხვევით ხასიათს.

მოკლევადიანი პროგნოზის საფუძვლად იღებენ უბრალო ექსტრაპოლაციის მეთოდს, რომელიც გულისხმობს მაჩვენებლების უბრალო საშუალოს გაანგარიშებას, ე.ი. უნდა განისაზღვროს საშუალო არითმეტიკული სიდიდე, რაც ფორმულით შემდეგნაირად გამოისახება:

$$X_n = \sum_{i=1}^{n} \frac{X_n}{n}$$

სადაც X_n –საპროგნოზო სიდიდეა; X_i –პროდუქციის სახეობის მოცულობა, ხოლო n –განსახილველი წლების რაოდენობა.

ექსტრაპოლაციის მეთოდის გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა აქვს დინამიური რიგების ანალიტიკურ გათანაბრებას. პროგნოზირებისას ანალიტიკური გათანაბრება კი ეს არის მათემატიკური ფუნქციის მონახვა, რომელიც ყველაზე ზუსტად აღწერს ცვლილებების ტენდეციას.

ანალიტიკური გათანაბრების საპასუხისმგებლო ეტაპს წარმოადგენს გრაფიკის აგებისას მრუდის ფორმის არჩევა, რომელიც ასახავს სხვადასხვა ტენდეციებს. გრაფიკის საერთო სახე კი საშუალებას იძლევა დავადგინოთ:

ა). აქვს თუ არა მაჩვენებლების დინამიურ რიგს მკვეთრად გამოსახული ტენდეცია; ბ) თუ კი აქვს, მაშინ არის თუ არა ეს ტენდენცია მდორე; გ) როგორია ტენდეციის ხასიათი (მონოტონური თუ არა მონოტონური, ზრდადი თუ კლებადი). მრუდის ყოველი წერტილი არის შედეგი ცვლილებებისა, როგორც სივრცეში, ასევე დროში. მაჩვენებლების ცვლილებების დინამიკა არის საკმაოდ რთული, ამიტომ მათი გამოსახვა ელემენტარული ანალიტიკური ფუნქციებით ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ამიტომ ხშირად გამოიყენება უფრო რთული ე.წ. კომბინირებული ფუნქციები. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს:

$$y = a + b \ln t + ct$$

$$y = a + bt + c\sqrt{t}$$

სადაც y –არის მოსავლიანობა, t –დროის პერიოდი.

გათანაბრების საიმედობისა და დასაბუთებულობის ამაღლებისათვის, არსებული ტენდეციების უფრო ზუსტი გამოვლინების მიზნით აწარმოებენ ვარიანტულ გაანგარიშებას, რამოდენიმე ანალიტიკური ფუნქციის მიხედვით და საექსპერტო და სტატისტიკური შეფასებების საფუძველზე განსაზღვრავენ კავშირის უკეთეს ფორმას. ამისათვის კი აუცილებელია განისაზღვროს კავშირის განტოლების პარამეტრები, რომელთა მოძებნისათვის უკეთესია გამოყენებული იქნეს მცირე კვადრატების მეთოდი. ამ შემთხვევაში გამოთანაბრებული ფუნქცია წერტილებს შორის დაიკავებს ისეთ მდებარეობას, რომლის დროსაც წერტილების ჯამური გადახრა იქნება მინიმალური. თუ განხილული მაჩვენებლების ფაქტიურ მნიშვნელობებს ავღნიშნავთ Y_i-ით, ხოლო გამოთვლებს გამათანაბრებელი განტოლების მიხედვით $\overline{Y}_i$-ით, მაშინ ფორმალიზებული მოთხოვნა შეგვიძლია ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$\sum_{i \in n} (Y_i - \overline{Y}_i) \to \min$$

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაჩვენებლების დინამიკისა და ფუნქციის დინამიური რიგის გათანაბრების შეფასება შესაძლებელია მათემატიკური სტატისტიკის მაგალითებისა და გრაფიკების გამოყენებით. განსახილველი მრუდების რხევების თვალსაჩინო გამოსახულებები, რომლებიც გამოსახავენ ამ რხევების ტენდეციებს, ხანდახან საშუალებას იძლევიან არ მივმართოთ რთულ მათემატიკურ გათვლებს, შევარჩიოთ გამოთანაბრებული ფუნქციები და ავარჩიოთ მათ შორის ხელსაყრელი ფუნქციები შემდგომში სასოფლო-

სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის პროგნოზირების მიზნით.

უფრო საიმედო დასაბუთებული შეფასება შესაძლოა მიეცეს, თუ გამოვიყენებთ ისეთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს (მახასიათებლებს), როგორებიცაა ზრდის საშუალო კოეფიციენტი (k), საერთო და ნარჩენი დისპერსია (σ^2 საერთ.), (σ^2 ნარჩ.), კორელაციის კოეფიციენტი (r), კორელაციის ინდექსი (I), საწყისი რიგისა (rავტ.) და გადახრის რიგის (rავტ.) ავტოკორელაციის კოეფიციენტები.

მოყვანილ მაჩვენებლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ საწყისი რიგისა და გადახრის რიგის ავტოკორელაციის კოეფიციენტებს, რომელთა მნიშვნელობებზეც არის დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის სტატისტიკურ შეფასებათა საიმედობა და პროგნოზების დასაბუთებულობა. როგორც ცნობილია, სასოფლო-სამეურნეო მაჩვენებლების პროგნოზირებისათვის გამოყენებული დროითი რიგის შემადგენლები არიან ურთიერთდამოკიდებულნი (დროითი რიგის ყოველი შემდგომი წევრი კორელირებულია წინამდებარესთან). სხვანაირად, რომ ვთქვათ, მაჩვენებლის კონკრეტული მნიშვნელობით დროის ყოველ მომენტში (კონკრეტული წლის განმავლობაში) დიდწილად განისაზღვრება მისი დონით წინა წლებში.

საზოგადოდ, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის დინამიკის რიგებისათვის, რომელთაც გააჩნიათ მჭიდრო კავშირი დროსთან, დამახასიათებელია მაღალი ავტოკორელაცია. მაგრამ სწორად შერჩეული ანალიტიკური ფორმა, საშუალებას იძლევა ნაწილობრივ ან მთლიანად მოიხსნას ავტოკორელაცია, ეინაიდან ახა-

სიათებს ცვლილების ტენდეციებს განსახილველ დინამიურ რიგებში. მოსავლიანობის ფაქტიური მნიშვნელობის გადახრა მნიშვნელობიდან, რომელიც იქნა მიღებული ფუნქციათა გათანაბრებით, ახასიათებენ რიგების ვარიაციას, რომელიც დაკავშირებული არ არის ძირითად ტენდეციებთან, ამ გადახრების განაწილება შემთხვევითია და ხანგრძლივი დინამიკის განხილვის დროს ემორჩილება ნორმალური განაწილების კანონს. ეს კი საშუალებას იძლევა პროგნოზების შეფასებისათვის გამოყენებულ იქნეს ალბათური მაჩვენებლები, რისთვისაც იყენებენ მათემატიკური სტატისტიკისა და ალბათობის აპარატს.

დინამიური რიგების ანალიტიკური გათანაბრების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროგნოზირების მაგალითების ანალიზი გვაძლევს ამორჩევისადმი სწორი მიდგომის, მაჩვენებელთა ერთობლიობის რეგრესიის განტოლებების აგებისა და ამოხსნის შესაძლებლობას, პროგნოზირების ზღვრული შეცდომის მნიშვნელობა დიდია, საჭიროა დაკვირვებით იქნეს შესწავლილი მეურნეობაში ტექნიკური აღჭურვილობა, ტექნოლოგია და წარმოების ორგანიზაცია, აიხსნას მონაცემთა დიდი ვარიაციის მიზეზები და დაისახოს მეურნეობის გაძღოლის სისტემის დახვეწის გზები.

საზოგადოდ, მიმდინარე წელს მიღწეულ საპროგნოზო მაჩვენებლის დონესა და წინა წლებში არსებულ მაჩვენებლის დონეებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფრო გვიანი დაკვირვებების მონაცემები ატარებენ უფრო დიდ ინფორმაციას მაჩვენებლების მოსალოდნელ დონეზე. ამიტომ პროგნოზირების დროს უფრო დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დინამიური რიგის ბოლო მაჩვენებლებს. ამ პრინციპს პასუხობს ექ-

სპონენციალური გასწორების მეთოდი, რომელიც შეიმუშავა რ. ბრაუნმა (აშშ).

ექსპონენციალური გასწორება-ეს არის განსაკუთრებით ძლიერი რხევადი დინამიური რიგის გასწორება შემდგომი პროგნოზირების მიზნით. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ დასაბუთებული პროგნოზი დინამიური რიგების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ ზომიერი კავშირი დროში და უზრუნველყოფენ მაჩვენებლების ფართო აღრიცხვას, რომლებიც მიღწეული არიან ბოლო წლებში. მეთოდის არსი მდგომარეობს დროითი რიგის გასწორებაში აწონილი მცურავი საშუალოების დახმარებით, რომლებშიც ცვლადები ემორჩილებიან ექსპონენციალურ კანონს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის პროგნოზირება ექსპონენციალური გასწორების მეთოდის დახმარებით ეფუძნება იმ წინადადებას, რომ საანგარიშო პერიოდი ხარისხობრივად მსგავსია საკვლევი პერიოდის ბოლო მონაკვეთის.

კვლევების ჩატარებისას მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს პირველი და მეორე ხარისხის პოლინომები. მესამე და უფრო მაღალი ხარისხის პოლინომების გამოყენება არასასურველია, ვინაიდან განსხვავება გასწორებულ მნიშვნელობებს შორის საგრძნობლად მცირდება პოლინომის თანრიგის ზრდასთან ერთად, ხოლო თვით გამოთვლები ხდება რთული და შრომატევადი.

ექსპერტული შეფასების მეთოდი

ექსპერტული შეფასების მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პროგნოზისა და გეგმის შედგენის საფუძვლად იღებენ სპეციალისტის ან სპეციალისტთა ჯგუფის მოსაზრებებს, რომლებიც დაფუძნებულნი არიან პროფე-

სიონალურ, სამეცნიერო და პრაქტიკულ გამოცდილებაზე. ე.ი. აღნიშნული მეთოდი ეფუძნება მაღალკვალიფიციური სპეციალისტების (ექსპერტების) მოსაზრებასა და ინტუიციას, მათი ინფორმაციის დამუშავებას საპროგნოზო ობიექტის შესახებ. ეს მეთოდი ყველაზე უბრალო და პოპულარული მეთოდია. იგი ფართოდ გამოიყენება პროგნოზირებასა და დაგეგმვაში, განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსების, ტექნიკური მიღწევების, მეცნიერების განვითარების პროგნოზირებისას, ასევე ექსტრემალურ პირობებში ინფორმაციის არ არსებობის დროს, თუ ობიექტი არ ექვემდებარება საგნობრივ აღწერას ან მათემატიკურ ფორმალიზაციას.

ექსპერტული შეფასების მეთოდი ითვალისწინებს ექსპერტების მრავალსაფეხურიან გამოკითხვას სპეციალური სქემების მიხედვით და მიღებული შედეგების დამუშავებას ეკონომიკური სტატისტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. საექსპერტო შეფასებისათვის განისაზღვრება ექსპერტების შემადგენლობა, ხდება ექსპერტიზის პროცედურის შემუშავება. ანსხვავებენ ინდივიდუალურ და კოლექტიურ საექსპერტო შეფასებებს. ინდივიდუალურ საექსპერტო შეფასებებს შორის ყველაზე ფართო გავრცელება ჰპოვეს ინტერვიუების მეთოდმა, ანალიტიკურმა მეთოდმა და სცენარის დაწერის მეთოდმა.

ინტერვიუს მეთოდი გულისხმობს პროგნოზისტის საუბარს ექსპერტთან „შეკითხვა–პასუხის" სქემის მიხედვით, წინასწარ შემუშავებული პროგრამით, ანალიტიკური მეთოდი ითვალისწინებს ექსპერტის საგულდაგულო დამოუკიდებელ მუშაობას ტენდენციების ანალიზზე, მდგომარეობის შეფასებაზე და საპროგნოზო ობიექტის განვითარების გზებზე. რაც შეეხება სცენარის დაწერის მეთოდი დაფუძნებულია პროცესის ლოგიკის განსაზღვრაზე

ან სხვადასხვა პირობებში მოვლენაზე დროში. იგი ჩვეულებრივ ატარებს მრავალვარიანტულ ხასიათს.

მსოფლიო პრაქტიკაში კოლექტიური საექსპერტო შეფასებები ხორციელდება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება იდეის კოლექტიური გენერაციის მეთოდი, დელფის მეთოდი, „კომისიების" მეთოდი, სცენარის დაწერის მეთოდი და სხვა.

იდეის კოლექტიური გენერაციის მეთოდი მდგომარეობს პრობლემურ სიტუაციაში სპეციალისტების შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენებაში. კერძოდ, ისინი დასაწყისში ახდენენ იდეის გენერაციას და შემდეგ ამ იდეის გაკრიტიკებითა და დანერგვით ახდენენ კონტრიდეის ფორმირებას, რის შედეგადაც ხდება შეთანხმებული აზრის ჩამოყალიბება.

„კომისიის" მეთოდი დაფუძნებულია სპეციალური კომისიების შექმნაზე და მუშაობაზე. ქსპერტების ჯგუფები „მრგვალი მაგიდის" ირგვლივ განიხილავენ ამა თუ იმ პრობლემას ერთიანი აზრის გამომუშავების მიზნით, ხდება აზრის შეჯერება.

„დელფის" მეთოდით ხდება ექსპერტების მრავალსაფეხურიანი, ინდივიდუალური ანონიმური გამოკითხვა ანკეტა–კითხვარების ფორმით, კერძოდ, ხდება სპეციალისტების თანმიმდევრული ანკეტური გამოკითხვის ჩატარება აზრის შედარებით ვიწრო დიაპაზონის მისაღებად და კოლექტიური აზრის ფიქსაციისათვის. ანკეტების შედეგების მიხედვით ექსპერტების მიერ შემუშავდება შეთანხმებული აზრი ობიექტის განვითარების პერსპექტივების შესახებ. საექსპერტო შეფასებები გამოიყენება არა მხოლოდ მაჩვენებლების მნიშვნელობების პროგნოზირებისას, არამედ ანალიტიკური მუშაობის დროსაც.

საექსპერტო შეფასებების საიმედობისათვის უნდა შესრულდეს ორი პირობა. კერძოდ, საჭიროა მაღალკვალიფიციური ექსპერტების არსებობა და ობიექტურობის უზრუნველყოფა, მათი აზრის დამოუკიდებლობა.

ნორმატიული მეთოდი

ნორმატიული მეთოდი გულისხმობს მეცნიერულად დამუშავებული, ეკონომიკურად და ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებისა და ნორმატივების გამოყენებას პროგნოზირებასა და დაგეგმვაში. ნორმა ეს არის დოკუმენტურად დადასტურებული, მაქსიმალურად დასაშვები სიდიდე, რომელიც განსაზღვრავს მიღებული ზომის ერთეულებში ერთეულ პროდუქციაზე (სამუშაოზე) რესურსების ხარჯვის ზომას. ე.ი. ნორმა არის ის საპროგნოზო სიდიდე, რომელიც საზღვრავს მზა პროდუქციის ან სამუშაოს ერთეულზე ნედლეულის, მასალების და სხვათა ხარჯვის მაქსიმალურად დასაშვებ დონეს. ნორმატიული მეთოდი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბალანსო მეთოდთან. ნორმებისა და ნორმატივების საშუალებით განისაზღვრება მოთხოვნილება რესურსებზე, რეგულირდება სოციალურ-ეკონომიკური პროცესები და წყდება სხვადასხვა ამოცანები.

ნორმებისა და ნორმატივების არსებობა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საპროგნოზო და საგეგმო მაჩვენებლები პირდაპირი ანგარიშის საფუძველზე.

პროგნოზირებაში გამოიყენება შედარებით განზოგადებული, ხოლო დაგეგმვაში შედარებით კონკრეტული ნორმები. ნორმები და ნორმატივები იყოფიან ეკონომიკურ, სოციალურ და რესურსების ნორმებად და ნორმატივებად. აუცილებლობის შემთხვევაში ხდება მათი კონკრეტიზაცია და დიფერენციაცია ცალკეული მიმართულებების, ობი-

ექტების და რეგიონების მიხედვით. პრაქტიკულად გამოიყენება შემდეგი სახის ნორმები და ნორმატივები:

- საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის;
- სოციალური განვითარების;
- კაპიტალური დაბანდების კუთრი მაჩვენებლების;
- სიმძლავრეების (ძირითადი ფონდების) გამოყენების;
- ნედლეულისა და მასალების ხარჯვის;
- შრომისა და შრომის ანაზღაურების (ხელფასის ხარჯვის);
- საფინანსო საშუალებების გამოყენების;
- ხარისხის განმსაზღვრელი;
- მარაგების დაცვის და სხვა ნორმები და ნორმატივები.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დაგეგმვისათვის ძირითადი ნორმები შეიძლება დაიყოს შემდეგ ნორმებად: მატერიალური რესურსების დანახარჯების, ბუნებრივი დანაკარგების, შრომისა და შრომის ანაზღაურების დანახარჯების, პირდაპირი მოხმარების და სხვა ნორმებად.

მატერიალური რესურსების დანახარჯების ნორმების სტრუქტურაში შედიან ნორმები: თივაზე, საკვებზე, საწვავ-საცხებ მასალებზე, სასუქებზე, მცენარეთა დაცვის ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებებზე, ნედლეულზე, ტარაზე და სხვა მასალებზე. ბუნებრივი დანაკარგების ნორმა განისაზღვრება პროდუქციის დამზადებისას, ტრანსპორტირებისა და შენახვისას. შრომისა და შრომის ანაზღაურების ნორმების შემადგენლობაში შედიან გამომუშავების, პირუტყვის მომსახურების, აგრეგატების, სათავსოების ფართობების მომსახურების, პროდუქციის შრომატევადობის, შრომის ანაზღაურების, შრომის ნაყოფიერების და სხვათა ნორმები. ძირითადი მოხმარების ნორმები დგინდება კვების პროდუქტებზე, მატერიალურ მოხმარე-

ბაზე და (სპეცტანსაცმელი და სხვა), დამხმარე მეურნეობის განვითარებაზე, მეურნეობის სოციალური ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოს ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვისათვის ნორმატივები შესაძლებელია კლასიფიცირებულნი იქნენ ფუნქციონირების დროის, გამოყენების აუცილებლობის ხარისხის, გამოყენების სფეროს, სირთულის ხარისხის, შემუშაევების ხარისხის მიხედვით.

ფუნქციონირების დროის მიხედვით ნორმატივები შეიძლება იყოს ხანგრძლივად მოქმედი და მიმდინარე; გამოყენების აუცილებლობის ხარისხის მიხედვით ტიპიური და საცნობარო; გამოყენების სფეროს მიხედვით დარგთშორისი, დარგობრივი (საუწყებო) და სამეურნეო; სირთულის მიხედვით უბრალო (სამუშაოს ან დანახარჯების ყოველი სახისათვის) და გამსხვილებული (ჯგუფური სამუშაოს განსაზღერისათვის), რომელიც შეიცავს სხვადასხვა ოპერაციებს); შემუშაევების ხერხის მიხედვით საანგარიშო-ანალიტიკური, საცდელი და საცდელ-სტატისტიკური.

ნორმატივების დახმარებით რეგულირდება როგორც საბაზრო, ისე არა საბაზრო, ძირითადად არასაწარმოო სფეროები. საბაზრო სფეროში გამოიყენება საგადასახადო და სხვა სავალდებულო გადასახადებისა და გადარიცხვების, სარეზერვო ფონდების, სარეზერვო მოთხოვნილებების, კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნილებების, სამუშაო დღის ხანგრძლივობის, შვებულების და სხვა ნორმატივები. არასაწარმოო სფეროში გამოიყენება მინიმალური პენსიის, განათლებაზე და ჯანდაცვაზე დანახარჯების, კომუნალური მომსახურებისა და სხვა ნორმა-

ტივები, რომელთა უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

ნორმატივების ნაირსახეობას წარმოადგენენ სტანდარტები და ლიმიტები. სტანდარტი ეს არის დარგის, საწარმოს ოფიციალური სახელმწიფო ან ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტი. რომლითაც აუცილებელი თვისობრივი მახასიათებლები, მოთხოვნები დგინდება და მიღებულ ნიმუშს უდარებენ სხვა ამგვარ ობიექტებს. ლიმიტი კი არის ზღვრული ოდენობა, დასადგენი რაოდენობრივი შეზღუდვა ყიდვის, გაყიდვის, კრედიტის, გარიგების მოცულობის, საქონლის შემოტანისა და გატანის, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ბუნებრივი რესურსების გამოყენების, შრომის ანაზღაურების დონის, სავალუტო ოპერაციების.

პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი

პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდის არსი მდგომარეობს სოციალური, ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების ძირითადი მიზნების შერჩევაში, განსაზღვრულ დროში მათი მიღწევისათვის ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში, ასევე რესურსების დაბალანსებულ უზრუნველყოფაში მათი გამოყენების ეფექტურობის გათვალისწინებით. პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი გამოიყენება მიზნობრივ კომპლექსური პროგრამების შემუშავებისას. ცალკეულ ავტორთა გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ პროგრამულ-მიზნობრივი დაგეგმვა გამოყენებული უნდა იქნეს მსხვილი პრობლემების გადაწყვეტის დროს.

აღნიშნული მეთოდი ეფუძნება ობიექტის ფუნქციონირებისათვის რიალურად დასახული მიზნების შერჩევასა და მისთვის ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური და

სოციალური განვითარების პროგრამების რამოდენიმე ვარიანტის შერჩევას. ცნობილია, რომ დაგეგმვის ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტისას ფორმირდება არა ერთი, არამედ რამოდენიმე მიზანი, ხოლო გეგმის შემუშავებისას—კი მიზნების ერთობლიობა (სისტემა). ამ მიზნებს შეიძლება ჰქონდეთ რაოდენობრივი განზომილება ან განისაზღვრებოდნენ აპრიორში.

პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი გულისხმობს მიზნების მრავალფეროვნებას, კერძოდ, სამეცნიერო-ტექნიკურს, ორგანიზაციულ-ეკონომიკურს, ეკოლოგიურს და სხვა. დაგეგმვის დროს ყველა ეს მიზანი გადაიკვეთება, იმყოფებიან განსაკუთრებულ ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში, შედეგად აუცილებელია დავუპირისპიროთ პროგრამის მომზადება და სხვადასხვა მიზნების აღწერა.

პროგრამის შემუშავებისას გამოყენებული უნდა იქნეს კომპლექსური მიდგომა, რომელიც განპირობებულია, ერთი მხრივ უწყვეტობის პრინციპით, ხოლო მეორეს მხრივ, მომავალში მისი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სისტემაზე დაფუძნებით.

პროგრამულ-მიზნობრივ მეთოდს გააჩნია ორი მიდგომა: მიზნობრივი და კომპლექსური. მიზნობრივი მიდგომა გულისხმობს საწარმოს განვითარების ურთიერთდაკავშირებული მიზნების იერარქიის შემუშავებას, წამყვანი მიზნებისა და ქვემიზნების გამოყოფას, მიზნების პრიორიტეტების განსაზღვრასა და მათ რეალიზაციას დროში. კომპლექსური მიდგომა კი გულისხმობს საწარმოო პროცესების, კერძოდ, ტექნიკური, ტექნოლოგიური, ლოგიკური და ორგანიზაციული ფაქტორების შეკავშირებას.

ნორმატიულ-რესურსობრივი მეთოდი

ნორმატიულ-რესურსობრივი მეთოდი უმეტესად გამოიყენება სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზირებაში, რომელიც ითვალისწინებს ძირითადი რესურსების კერძოდ, მიწის რესურსების, ძირითადი საწარმოო ფონდების, საბრუნავი საშუალებებისა და შრომითი რესურსების უზრუნველყოფის დონის დადგენას თანაზომადი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც მოხდება პროგნოზირება.

პროგნოზირებისა და დაგეგმვის ყველა განხილული მეთოდი გამოიყენება კომპლექსში, არ შეიძლება შემოვიფარგლოთ რომელიმე ერთით, ვინაიდან ყოველი მათგანი გვეხმარება გადავჭრათ პრობლემის ერთი მხარე. მაგრამ ყველა შემთხვევაში ბალანსების, მიზნობრივი-კომპლექსური პროგრამების, პროექტების შემუშავების დროს აუცილებლად მოითხოვება მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატიევები.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდი

ეკონომიკური ანალიზი წარმოადგენს პროგნოზირებისა და დაგეგმვის ლოგიკის განუყოფელ ნაწილსა და ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. მას საფუძვლად უდევს შესასწავლი სისტემის შემადგენელი ნაწილების ელემენტების შესწავლა. იგი არის ეკონომიკური პროცესების პროგნოზირების, დაგეგმვის, მართვის ამოსავალი საწყისი წერტილი. მოწოდებულია მეცნიერული პოზიციებიდან დაასაბუთოს გადაწყვეტილებები და ქმედებები ეკონომიკის სფეროში, ხელი შეუწყოს მოქმედების საუკეთესო ვარიანტების შერჩევას.

მაშასადამე, ეკონომიკური ანალიზის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში. რომ ეკონომიკური პროცესი ან

მოვლენა იყოფა შემადგენელ ნაწილებად, ვლინდება მათ შორის ურთიერთკავშირი, ასევე ამ ნაწილების ერთიმეორეზე და მთელი პროცესის განვითარების მიმდევრობაზე გავლენა.

მოდელირებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები

მოდელი ნიშნავს ზომას, ნიმუშს. ეკონომიკური მოდელი კი წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გამოკვლევის პირობითი ობიექტის ნიმუშს. იგი გულისხმობს ობიექტის მნიშვნელოვანი მახასიათებლების გამოყოფას და მისი ელემენტების დეტალურ ფორმალიზებას.

ჩამოყალიბებულია ეკონომიკური მოდელისადმი ძირითადი მოთხოვნები: ადაპტურობის სისრულე, გადაწყვეტილების მიღების დროს შეზღუდულობა, არსებული საპროგრამო საშუალებების ფორმალიზაცია და შემდგომ გამოყენებაზე ორიენტაცია, ადექვატურობისა და ვარიფიკაციის შემოწმების უზრუნველყოფა, საწყის მონაცემებში შეცდომისადმი შედარებითი მდგრადობა. ეკონომიკური მოდელი მისი მათემატიკური ფორმალიზაციის შემდეგ ხდება ეკონომიკურ-მათემატიკური.

მოდელირება კი გულისხმობს მოდელის კონსტრუირებას ობიექტის ან პროცესის წინასწარი შესწავლის საფუძველზე, მისი მნიშვნელოვანი მახასიათებლების ან ნიშნების გამოყოფით.

პროგნოზირებასა და დაგეგმვაში გამოყენებული სოციალურ- ეკონომიკური პროცესები ეფუძნება ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების შემუშავებასა და ამოცანების გადაწყვეტას ელექტრონულ გამომთვლელი მანქანების დახმარებით. არჩევენ მაკროეკონომიკურ და კორ-

პორაციულ (საწარმოს შიდა) მოდელირებას. მოდელები უფრო ხშირად გამოიყენება მოკლეევადიანი პროგნოზირებისა და დაგეგმვის დროს, როცა სტრუქტურული ცვლილებების ალბათობა დიდია.

მოდელირების საფუძველს შეადგენს გამოყენებითი მათემატიკა, განსაკუთრებით მისი განყოფილებები, როგორებიცაა: წრფივი და ოპტიმალური პროგრამირება, მათემატიკური სტატისტიკა, თამაშთა თეორია, არაწრფივი პროგრამირება და სხვა. გამოყენებითი მათემატიკა და სტატისტიკა აფორმირებს ეკონომიკურ პროცესებსა და კავშირებს, გამოსახავს მათ მოდელში პირობებისა და განტოლებების სახით. მათემატიკური მოდელირება წარმოადგენს წინაპირობასა და საშუალებას იმისათვის, რომ ეკონომიკა და მასში მიმდინარე მოვლენები და მისაღებ გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობა, პროგნოზირება, დაგეგმვა, ეკონომიკური პროცესებისა და ობიექტების მართვა გაანალიზდეს. ეკონომიკური ობიექტის მოდელი, ჩვეულებრივ, რიალურ სტატისტიკურ, ემპირიულ მონაცემებს ეყრდნობა, ხოლო გაანგარიშებათა შედეგები, რომლებიც შესრულებულია აგებული მოდელის ფარგლებში, შესაძლებელს ხდის აიგოს პროგნოზები, ჩატარდეს ობიექტური შეფასებები.

პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია დეტერმინირებული (განსაზღვრული) ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები, რომელთა გადაწყვეტა ხდება სიმპლექს-მეთოდის საშუალებით. სტოხასტიკური (ალბათური) მოდელები კი არ არიან დეტერმინირებულნი, ე.ი. ამ მოდელებში ნაწილი ან ყველა პარამეტრიც მოცემულნი არიან შემთხვევითი სიდიდეებით. არსებობს გადაყვანის ხერხები სტოხასტიკური პროგრამირების ეკონომიკური ამოცანების წრფივი პროგნოზირების დეტერმინირებულ ამოცანებზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს პროგნოზირებას სახეთა ამოცნობის თეორიის გამოყენებით. კერძოდ, ამჟამად გამოყოფენ სახეთა ამოცნობის სამი ძირითადი ტიპის ამოცანას: სახეთა ამოცნობის შესწავლა, აღწერილობის შემცირება, ტექსონომია (თვითშესწავლა).

პირველი ტიპის ამოცანები გადამწყეტი წესის საფუძველზე (ზოგიერთი კრიტერიუმების) აუცილებელია განისაზღვროს, თუ რომელ კლასს მიეკუთვნებიან განსახილველი ობიექტები. პროგნოზის კრიტერიუმები და შეცდომები მოცემულია წინასწარ, მეორე ტიპის ამოცანა ისახავს მიზნად ნიშნების დიდ ერთობლიობაში ამოირჩიოს შედარებით ინფორმაციულები, მაგრამ ეკონომიკური, ინფორმაციის დანაკარგების ფუნქცია არ უნდა გაიზარდოს მნიშვნელოვნად. მესამე ტიპის ამოცანა (თვითშესწავლა) მდგომარეობს მოცემული წესის დახმარებით გამოეყოთ სხვადასხვა კლასებში ერთნაირი (ერთგვაროვანი) ობიექტები.

მსოფლიო პრაქტიკაში ფართო გავრცელება ჰპოვეს მატრიცულმა მოდელებმა, ასევე ოპტიმალური დაგეგმვისა და ეკონომიკურ-სტატისტიკურმა მოდელებმა.

მატრიცულ მოდელებს მიეკუთვნება დარგთაშორისი ბალანსები: სტატისტიკური და დინამიური. პირველი გამიზნულია საპროგნოზო მაკროეკონომიკური გათვლების ჩასატარებლად მოკლევადიან პერსპექტივაში, მეორე კი გრძელვადიან პერსპექტივაში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გაანგარიშებაზე. ისინი გვიჩვენებენ კვლავწარმოების პროცეს დინამიკაში და უზრუნველყოფენ პროდუქციის წარმოების (მომსახურების) პროგნოზის დაკავშირებას ინვესტიციებთან.

ოპტიმალური დაგეგმვის მოდელები გამოიყენება ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების განსაზღვრი-

სათვის მთლიანობაში და მისი ცალკეული რგოლებისათვის. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი წარმოადგენს ეკონომიკური პროცესის ფორმალიზებულ აღწერას. ისინი შეიცავენ განტოლებებს, რომლებიც ასახავენ ცვლადების დამოკიდებულებას განსაზღვრული ობიექტის მიმართ. მოდელი შედგება მიზნობრივი ფუნქციისა და შეზღუდვების სისტემისაგან. მიზნობრივი ფუნქცია აღწერს ოპტიმიზაციის მიზანს და წარმოადგენს მაჩვენებლების დამოკიდებულებას, რომელთა მიხედვითაც ხდება ოპტიმიზაცია. შეზღუდვების სისტემა ასახავს ობიექტურ ეკონომიკურ კავშირებსა და დამოკიდებულებებს და წარმოადგენს ტოლობებისა და უტოლობების სისტემას.

შეზღუდვების სისტემაში შეიძლება იქნეს შეტანილი შეზღუდვები რესურსების, ეკონომიკური მაჩვენებლების და პროდუქციის რაოდენობის მხრივ.

ეკონომიკურ-სტატისტიკური მოდელები გამოიყენება კავშირების, დამოკიდებულებების და ეკონომიკური მაჩვენებლების ურთიერთ განსაზღვრულობის რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენისათვის. მოდელების ასეთი სახის სისტემა შეიცავს ერთფაქტორიან, მრავალფაქტორიან და ეკონომეტრიკულ მოდელებს. ერთფაქტორიანი მოდელის მაგალითებია:

$$y = a + bx;$$
$$y = a + b/x;$$
$$y = a + b \lg x;$$

სადაც y- საპროგნოზო მაჩვენებლის მნიშვნელობაა; a- თავისუფალი წევრია, რომელიც განსაზღვრავს კოორდინატთა სისტემაში რეგრესიის წრფის საწყისი წერტილის მდებარეობას; x- ფაქტორის მნიშვნელობაა; b- პა-

რამეტრია, რომელიც ახასიათებს y-ის ცვლილების ნორმას x - ერთეულით.

მრავალფაქტორული მოდელები საშუალებას იძლევიან ერთდროულად გავითვალისწინოთ რამოდენიმე ფაქტორი საპროგნოზო მაჩვენებლის დონეზე. ამასთან ეს უკანასკნელი გამოდის როგორც ფუნქცია ფაქტორიდან:

$$y = f(x_1, x_2, x_3, \ldots\ldots\ldots, x_n)$$

სადაც $x_1, x_2, x_3, \ldots\ldots, x_n$ - ფაქტორებია.

ეკონომეტრიკულ მოდელს უწოდებენ რეგრესიულ განტოლებასა და იგივეობების სისტემას, რომლებიც აღწერენ ეკონომიკის განვითარების ძირითადი მაჩვენებლების ურთიერთკავშირებსა და დამოკიდებულებებს.

სტატისტიკურ მოდელებს ხანდახან უწოდებენ საწარმოო ფუნქციებს. მათი აგებისას საჭიროა გათვალისწინებული იქნეს, კერძოდ:

- დაზუსტდეს ხარისხობრივი ურთიერთკავშირი საკვლევი მაჩვენებლისა პირობების ერთობლიობასთან დამოკიდებულებაში; დაწვრილებით აირჩეს ხარისხობრივი ფაქტორები, არგუმენტები, რომელთაც გააჩნიათ რაოდენობრივი გამოსახულება;
- ნავარაუდევი უნდა იქნეს ყველაზე უფრო შესაძლო კავშირების ხასიათი დამოუკიდებელ მაჩვენებლებსა და არჩეულ ფაქტორებს, არგუმენტებს შორის;
- გათვალისწინებული იქნეს ფაქტორების შერჩევისას სტატისტიკური რიგების შედარებითი ზომა და განისაზღვროს კორელაციური განტოლების დასაშვები პარამეტრები;
- ჩატარდეს ტექნიკური შემოწმება არსებული ფორმალიზებული სტატისტიკური მონაცემებისა;

– შეირჩეს ყველაზე უფრო მისაღები მათემატიკური განტოლება ურთიერთკავშირის გამოსახულებისათვის.

საწარმოო ფუნქციის გამოყენებისას მოკლეევადიანი და საშუალოვადიანი პროგნოზირებისას ფრთხილად უნდა იქნეს გამოყენებული რეგრესიის კოეფიციენტები, რომლებიც არიან დამოუკიდებელნი ცვლადებისაგან, ამიტომ მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს, რომ განტოლების რეალური მოქმედება განპირობებულია ცვლილებების ზღვრული სიდიდეებით, დამოუკიდებელი ცვლადებითა და საპროგნოზო მაჩვენებლებით. რეგრესიის კოეფიციენტის პროგნოზირებისათვის საწარმოო ფუნქციის ფორმირებისას აუცილებელია, რომ მათი მნიშვნელობა არ განსხვავდებოდეს ანალიტიკურ-სტატისტიკურ რიგებში შესაბამისი აბსოლუტური მნიშვნელობისაგან.

საწარმოო ფუნქციის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულად რთულ საკითხს წარმოადგენს საწარმოო პროცესის ძირითადი ფაქტორების ამორჩევა, რათა ისინი ჩავრთოთ სტატისტიკურ მოდელში.

მრავალი ეკონომიკური ობიექტი თავისი შიდა სტრუქტურის სირთულის გამო არ შეიძლება იყოს აღწერილი სტატისტიკური ან ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების საშუალებით. ამასთან დაკავშირებით პროგნოზირებაში გამოიყენება იმიტაციური მოდელები, რომლებიც სტატისტიკური და მათემატიკური მოდელების მსგავსად შეიცავენ ობიექტის სიტყვიერ აღწერილობას, გარკვეულ დამოკიდებულებებს, ქსელურ მოდელებს და ა.შ. იმიტაციური მოდელის აღწერისას პროგნოზისტი თავისი შეხედულებისამებრ თავისუფლად ირჩევს პროგნოზირების მეთოდებს.

მოდელირება საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს მრავალი ფაქტორი, გავხსნათ ურთიერთკავშირები და აირჩეს საუკეთესო გადაწყვეტილებები და ვარიანტები. უდიდესი გამოყენება ჰპოვეს ეკონომიკური ზრდის, წარმოების განლაგების, გადაზიდვების ოპტიმიზაციის, დარგთაშორისი ბალანსის მოდელებმა. ამასთან ერთად ყოველი მოდელი ნამდვილ მოდელებს ასახავს შეზღუდულად, მოცემული პარამეტრის ჩარჩოებში, რაც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს შედეგების ანალიზის დროს გამომთვლელ მანქანაზე ამოცანების გადაწყვეტისას.

კომბინირებული მეთოდი

ზემოდ აღწერილი და გაანალიზირებული მეთოდები საზოგადოდ ითვლებიან საბაზო მეთოდებად, როგორც წესი ყველა აღწერილი მეთოდი წარმოადგენს ნებისმიერი ფინანსური პროგნოზირების მოდელის საფუძველს, მაგრამ ისინი დამოუკიდებლად პრაქტიკულად არ გამოიყენებიან. პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ეგრეთ წოდებული კომბინირებული მეთოდი, რომელიც შეიცავს თავის თავში საბაზო მეთოდების ხერხებსა და ალგორითმებს, რაც განპირობებულია საბაზო მეთოდების ნაკლოვანებებისა და შეზღუდვების არსებობით რისი ნეიტრალიზებაც ხდება მათი კომპლექსური გამოყენების გზით. საბაზო მეთოდები კომბინირებული მეთოდის შემადგენლობაში ავსებენ ერთმანეთს. ზოგჯერ ერთ-ერთ საბაზო მეთოდს იყენებენ, როგორც იმ შედეგების დამატებითი კონტროლის ინსტრუმენტს, რომლებიც მიიღებიან სხვა მეთოდების საშუალებით. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის პროგნოზირების მითოდები კარგად აქვს გაშუქებული

თავის ნაშრომში რუს მეცნიერს, კომპანია "iTeam"-ის წამყვან კონსულტანტს გ. ზემიტანს.

ქვემოთ მოყვანილი კომბინირებული მეთოდი კლასიფიკაციით მიეკუთვნება მეთოდებს, რომლებიც ახდენენ ანგარიშგების ფორმების პროგნოზირებას (სტატიების გამსხვილეებულ ნომეკლატურაში). კომბინირებული მეთოდის აღწერისათვის გამოყენებულია შემდეგი პირობითი აღნიშვნები: AA–არასაბრუნავი აქტივები; MA–მიმდინარე აქტივები; SK–საკუთარი კაპიტალი; KD–კრედიტორული დავალიანების სიდიდე; T_{MA}–მიმდინარე აქტივების ბრუნვის ხანგრძლივობა; T_{KD} –კრედიტორული დავალიანების დაფარვის საშუალო პერიოდის ხანგრძლივობა; A–ამონაგები რეალიზაციიდან; M–მოგება, რომელიც რჩება ორგანიზაციის განკარგულებაში; n–საბოლოო საანგარიშო პერიოდი, * n +1 –საპროგნოზო პერიოდი.

საპროგნოზო ანგარიშების შედგენას იწყებენ საკუთარი კაპიტალის მოსალოდნელი სიდიდის განსაზღვრით. საწყისი, დამატებითი და სარეზერვო კაპიტალი ჩვეულებრივ იშვიათად იზრდება (თუ საპროგნოზო პერიოდში არ იგეგმება აქტივების ემისიის განხორციელება), ამიტომ საპროგნოზო ბალანსში იგი შეგვიძლია შევიტანოთ იგივე თანხით, რაც იყო საბოლოო საანგარიშო ბალანსში. ამრიგად, ძირითად ელემენტს, რომლის ხარჯზეც იცვლება საკუთარი კაპიტალის სიდიდე წარმოადგენს მოგება, რომელიც რჩება ორგანიზაციის განკარგულებაში. მოგების სიდიდის გათვლა შესაძლებელია პროპორციონალური დამოკიდებულებების მეთოდის საშუალებით, გამომდინარე რეალიზაციის რენტაბელურობის (R_K) კოეფიციენტის სიდიდიდან შემდგომ პერიოდში, რომელიც ტოლია

მოგების შეფარდებისა რეალიზაციის ამონაგებთან, მივიღებთ:

$$R_K = M / A ; \qquad (1)$$

მოცემული მაჩვენებლის საპროგნოზო სიდიდე, ასევე რეალიზაციიდან ამონაგები განისაზღვრება რეგრესიის მეთოდით წინამდებარე პერიოდებისათვის მათი ინდივიდუალური დინამიკის საფუძველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეალიზაციიდან ამონაგების პროგნოზი მაჩვენებლის სიდიდის ყველაზე საიმედო მნიშვნელობა შესაძლებელია მიღებულ იქნეს საწარმოს სპეციალისტების საექსპერტო შეფასებების საფუძველზე, რომლებიც ემყარებიან წინა პერიოდის რეალიზაციის მოცულობების მონაცემებს, საბაზრო კონიუქტურას, საწარმოო სიმძლავრეებს, საბაზრო პოლიტიკას და სხვა. ამრიგად, საკუთარი კაპიტალის სიდიდე მომავალში განისაზღვრება, როგორც მისი კაპიტალი ბოლო საანგარიშგებო პერიოდში, გადიდებული საპროგნოზო მოგების სიდიდეზე, ოდენობით (დეტერმინირებული ფაქტორული მეთოდი):

$$SK_{n+1} = SM_n + M ; \qquad (2)$$

შემდეგ განსაზღვრავენ საკუთარ საბრუნავ კაპიტალზე მოთხოვნილებას ($M_{სსკ}$), იგი წარმოადგენს საკუთარი კაპიტალის აუცილებელ ნაწილს, რომელიც მიმართულია საბრუნავი (მიმდინარე) აქტივების ფორმირებაზე:

$$M_{სსკ.} = SK + AA ; \qquad (3)$$

მე-3 განტოლება წარმოადგენს საბალანსო განტოლების კერძო სახეს, ვინაიდან იგი არის ტოლობა საკუთარი კაპიტალისა, როგორც საშუალებების ფორმირების წყაროსა და აქტივების იმ სახეებს შორის, რომელთა

ფორმირებაზეც არის იგი მიმართული. ფაქტიურად აქ გამოიყენება პროგნოზირების საბალანსო მეთოდი. საპროგნოზო პერიოდში არასაბრუნავი აქტივების სიდიდე განისაზღვრება ავტორეგრესიის მეთოდის დახმარებით.

შემდეგ უნდა იქნეს განსაზღვრული კრედიტორული დავალიანების სიდიდე საპროგნოზო პერიოდში KD_{n+1}, რომელიც დაკავშირებულია $M_{ssკ.}$–სიდიდესთან. მართლაც კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს წარმოების მიმწოდებლის კრედიტს, და ამიტომ, უნდა განხილულ იქნეს, როგორც ფინანსირების წყარო. კრედიტორული დავალიანებების დაფარვისა და საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის ვადებში გარღვევის შემდეგ, წარმოიშვება მოთხოვნილება დამატებით დაფინანსებაში. ანდა განისაზღვროს KD და $M_{ssკ.}$ სიდიდეებს შორის დამოკიდებულების სახე.

თუ საწარმოს აქვს კრედიტორული დავალიანება და მისი დაფარვის ხანგრძლივობა არის უფრო მოკლე, ვიდრე საწარმოო-კომერციული ციკლის ხანგრძლივობაა, მაშინ ვალდებულებების დაფარვა მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს საკმარისი საბრუნავი კაპიტალი. ფინანსირების ამ წყაროზე მოთხოვნილება განისაზღვრება დროით, რომელიც მიიღება მიმწოდებლის კრედიტის გამოყენების დამთავრებასა და საწარმოო-კომერციული ციკლის დასრულებას შორის სხვაობით (T_{MA} –T_{KD}) და დროის ერთეულში მოსალოდნელი გადასახადების სიდიდით V/ L:

$$M_{ssკ.} =(T_{MA} - T_{KD})* V/L; \qquad (4)$$

სადაც L –საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობაა.

მეორეს მხრივ კრედიტორული დავალიანების ბრუნვადობისათვის გვექნება.

$$R_{KD} = V / KD; \qquad (5)$$

სადაც V–არის კრედიტორებისათვის გადასახადის სიდიდე. აქედან დავალიანების დაფარვის საშუალო ვადა ტოლი იქნება:

$$T_{KD} = L / R_{KD} = KD\ L/V; \qquad (6)$$

გამოვრიცხავთ რა მე-4 და 6-ე განტოლებაში L/V სიდიდეს მივიღებთ

$$M_{ssj.} = KD_{n+1} * (T_{MA} - T_{KD}) / T_{KD}; \qquad (7)$$

ამრიგად, საკუთარ საბრუნავ კაპიტალში მოთხოვნილება განისაზღვრება, კრედიტორული დავალიანების სიდიდით, კაპიტალის ბრუნვადობის ხანგრძლივობით, რომელიც ჩადებულია მიმდინარე აქტივებში, ასევე კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადის ხანგრძლივობით. სიდიდე მცირდება მიმდინარე აქტივების ბრუნვის პერიოდის შემცირებასთან ერთად. როცა $T_{MA} < T_{KD}$, მაშინ მე-7 ფორმულაში ფრჩხილებში მოყვანილი სიდიდე იღებს უარყოფით მნიშვნელობას, რაც ნიშნავს, რომ საბრუნავი საშუალებების ფორმირებისათვის არ არის საჭირო საკუთარი კაპიტალის გამოყენება. აღნიშნულ შემთხვევაში ყველა მიმდინარე პასივები მოცემულია მხოლოდ კრედიტორული დავალიანებით.

მე-7-ე ფორმულიდან კრედიტორული დავალიანებისათვის მივიღებთ:

$$KD_{n+1} = M_{ssj.} * T_{KD} / (T_{MA} - T_{KD}); \qquad (8)$$

ამ ფორმულის საშუალებით გამოთვლილი სიდიდე იქნება კრედიტორული დავალიანების მაქსიმალური შესაძლებელი მოცულობა, გამოთვლილი იმ წინაპირობით, რომ საწარმოს მოთხოვნილება ფინანსირებაში დაკმაყოფილებული იქნება საკუთარი კაპიტალის ხარჯზე.

ამრიგად, კრედიტორული დავალიანების სიდიდე პროგნოზირდება დეტერმინირებული ფაქტორული მეთოდით, ფუნქციონალური დამოკიდებულებების დახმარებით. საპროგნოზო პერიოდში მიმდინარე აქტივების ბრუნვის ხანგრძლივობა T_{MA} განისაზღვრება რეგრესიის მეთოდით, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვყოთ საწარმოში აღნიშნული მაჩვენებლის ძირითადი ტენდეციები. კრედიტორული დავალიანების დროს T_{KD}-ს განსაზღვრისათვის დავუშვათ, რომ მომდევნო პერიოდში გაანგარიშების ხასიათი არ შეიცვლება (მომწოდებელთან მიმართებაში). მაშინ შესაძლოა ჩავთვალოთ T_{KD}–ს მნიშვნელობა საპროგნოზო პერიოდში ტოლია იმ მნიშვნელობისა, რომელიც იყო ბოლო საანგარიშო პერიოდში:

$$T_{KD}(n+1) = T_{KD}(n); \qquad (9)$$

კრედიტორული დავალიანების სიდიდის საბოლოო განსაზღვრისათვის საპროგნოზო ბალანსში მისი შეყვანის წინ, უნდა იქნეს გამოთვლილი მიმდინარე აქტივების MA(n+1)-ის სიდიდის მნიშვნელობა. ამისათვის იყენებენ ზემოთ გამოთვლილ მიმდინარე აქტივების T_{MA} ბრუნვის ხანგრძლივობის მნიშვნელობას. მიმდინარე აქტივების ბრუნვისათვის გვექნება:

$$R_{MA} = A / \langle MA \rangle; \qquad (10)$$

სადაც <MA> აღნიშნავს მიმდინარე აქტივების სიდიდის საშუალო მნიშვნელობას საანგარიშო პერიოდში.

მაშინ მიმდინარე აქტივების ბრუნვის ხანგრძლივობა ტოლი იქნება:

$$T_{MA} = L / R_{MA} = \langle MA \rangle * L / A; \qquad (11)$$

სადაც L–საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობაა; მეორე მხრივ:

$$<MA> = [MA(n) + MA(n+1)] / 2; \qquad (12)$$

მე-11 და 12-ე ფორმულებიდან მივიღებთ:

$$MA(n+1) = 2A*T_{MA} / L - MA(n); \qquad (13)$$

ჩავსვამთ რა უკვე ცნობილ სიდიდეებს ბოლო ფორმულის მარჯვენა ნაწილში, განვსაზღვრავთ მიმდინარე აქტივების საპროგნოზო სიდიდეს (დეტერმინირების მეთოდი).

ამრიგად, ანგარიშების საპროგნოზო ფორმის საბოლოო აგებისათვის უნდა განისაზღვროს ბალანსის პასივში კრედიტორებისა და კრედიტორული დავალიანებების სიდიდე. რაც ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით. ანდა განისაზღვროს ბალანსის ვალუტის სიდიდე, როგორც მიმდინარე და არასაბრუნავი აქტივების ჯამი. შემდეგ განიხილავენ მე-8 ფორმულით განსაზღვრული კრედიტორული დავალიანების მაქსიმალურ სიდიდეს KD_{n+1}. ამ სიდიდიდან გამომდინარე პროგნოზირება ხორციელდება ორიდან ერთი ვარიანტით: თუ ჯამი KD_{n+1} -სა და საკუთარი კაპიტალის სიდიდისა აღემატება ბალანსის ვალუტას, მაშინ კრედიტორული დავალიანების სიდიდე მცირდება და მას იღებენ, როგორც ბალანსის ვალუტისა და საკუთარი კაპიტალის სიდიდეების სხვაობის ტოლს. ამ შემთხვევაში საწარმოსათვის საკმარისია ფინანსირების საკუთარი წყაროები, ამიტომ სტრიქონში „კრედიტები და სესხები"ვსვამთ ნულს. აქ ისევე გამოყენებულია საბალანსო მეთოდი, რომელიც წარმოადგენს კომბინირებული მეთოდის შემადგენელ ნაწილს.

თუ კი საკუთარი დაფინანსების წყაროები არ არის საკმარისი, მაშინ კრედიტორული დავალიანებების დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვის გზით – მაგალითად, ბანკის კრედიტით. ყოველივე ეს აისახება საწარმოო-კომერციული ციკლის ხანგრძლივობაზე. შენელდება სახსრების ბრუნვადობა პროდუქციის თვითღირებულების გაზრდის გამო, რომელშიც უკვე შევა პროცენტები საბანკო კრედიტის მოხმარებისათვის. ეს გამოიწვევს მიმდინარე აქტივების ბრუნვისათვის საჭირო დროის ხანგრძლივობასა და კრედიტორული დავალიანების დაფარვის ვადას შორის დროის გარღვევის გაზრდას. შედეგად, გაიზრდება ერთობლივი მოთხოვნა დაფინანსებაზე M_D, რომელიც წარმოდგენილია საკუთარი კაპიტალისა და ბანკის კრედიტით. მაშასადამე

$$M_D = MA^* (T_{MA} - T_{KD}) / MA; \qquad (14)$$

„კრედიტი და სესხების" სტრიქონის მნიშვნელობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა ერთობლივი მოთხოვნისა დაფინანსებაზე M_D და მე-3 ფორმულის მიხედვით გამოთვლილი საპროგნოზო პერიოდის საკუთარ საბრუნავ კაპიტალს შორის ($M_{სსკ}$).

ამრიგად, მოყვანილი კომბინირებული მეთოდი–არის ერთ-ერთი პრინციპიალურად შესაძლო მეთოდი ანგარიშგების საპროგნოზო ფორმების აგებისათვის. ნათელია, რომ დასკვნები საფინანსო პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდების შედარების დროს უნდა გაკეთდეს მიღებული პროგნოზების სიზუსტის შედარების საფუძველზე.

ლიტერატურა

1. ნ. ჭითანავა – გარდამავალი პერიოდის სოციალურ- ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი. თბ. 2001.
2. გრეგორი მენქიუ – ეკონომიკის პრინციპები, XXI –საუკუნის სახელმძღვანელო. ნათარგმნი ინგლისურიდან. " დიოგენე" 2003.
3. რ. ძაძამია – ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება. თ.ბ. 2002.
4. ბიზნეს – გარემო საქართველოში მცირე და საშუალო ზომის საწარმოების (მსს) თვალსაზრისით. ბიზნესის განვითარების პროექტი საქართველოში. 2005.
5. პროფ. ა.კიკნაველიძისა და დოც. თ.დუდაურის სალექციო კურსი. თბ. 2004.
6. Алексеева Н.М. Планирование деятельности фирмы. М. 2000.
7. Борисевич В.И., Кандаурова Г.А., Кандаурова Н.Н. и др.Прогнозирование и планирование экономики. Учеб. пособие. Мн. 2001.
8. Егоров В.В., Парсаданов Г.А. Прогнозирование национальной экономики. Учеб. пособие. М. 2001.
9. Владимирова Л.П. Прогнозирование и планирование в условиях рынка. Учеб. пособие. М. 2000.
10. Горемыкин В.А. Богомолов О.А.Экономическая стратегия предприятия. М. 2001.
11. Илин А.И. Синица Л.М. Планирование на предприятии. Минск. 2001.
12. Прогнозирование и планирование экономики. Под редакцией Г.А. Кандауровой. Практикум. Минск, 2003.
13. Гелбрейт Дж.К. Экономические теории и цели общества. Перевод с английского, М. 1979.
14. Ричард Томас- Количественные методы анализа хозяйственной деятельности. Перевод с английского. М. 1999.
15. В.А. Горемыкин – Планирование на предприятии. Учебник. М. 2003.
16. В.В. Ковалев – Ведение и финансовый менеджмент. М. 1993.

17. Э. Касл, М. Бекер, А. Нелсон, - Эфективное фермерское хозяйствованние. Перевод с англиского. М. 1991.
18. Планирование предприятия - ведение планирования и обшие экономические принципы. Модуль 1. 2000.
19. Ж. МЭИМО. 1. 2000.

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

თავი I. პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლები 8

1.1 პროგნოზირებისა და დაგეგმვის არსი, საგანი, მიზანი და ამოცანები 8

1.2. პროგნოზირების, როგორც სამეურნეო სუბიექტებისა და სახელმწიფოს ფუნქციის, როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში 19

1.3 წარმოების განვითარების პროგნოზირება და დაგეგმვა დასავლეთის მოწინავე ქვეყნებში. ფერმერი და პროგნოზირება 26

თავი II. პროგნოზირებისა და დაგეგმვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები 33

2.1 პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდოლოგია და მეთოდიკა 33

2.2. პროგნოზირებისა და დაგეგმვის პრინციპები 40

თავი III. პროგნოზირებისა და დაგეგმვის მეთოდები 54

3.1. ზოგადი დებულებები 54

3.2. პროგნოზირებისა და დაგეგმვის ძირითადი მეთოდების მიმოხილვა 58

ლიტერატურა 107

სარჩევი 109

T.N. Dudauri

Forecasting and planning in conditions marketing economy
(Part I)

(in georgian language)
Tbilisi 2005

თ.ნ.დუდაური

პროგნოზირება და დაგეგმვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში
(ნაწილი I)

(ქართულ ენაზე)
თბილისი2005

დაიბეჭდა თსუ, საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსის“ სტამბაში
მის. ჭავჭავაძის 13